Activity supported by the
Canada Fund for Local Initiatives
Activité réalisée avec l'appui du
Fonds canadien d'initiatives locales
Canada

MediaVoice

მოქალაქე ჟურნალისტის
გზამკვლევი

მოქალაქე ჟურნალისტის გზამკვლევი

© ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა“, 2025.

Activity supported by the Canada Fund for Local Initiatives
Activité réalisée avec l'appui du Fonds canadien d'initiatives locales
Canada

MediaVoice

გზამკვლევი მომზადდა პროექტის - “სამოქალაქო ჟურნალისტიკის გაძლიერება: მრავალფეროვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა თბილისსა და რეგიონებში” - ფარგლებში, საქართველოში კანადის საელჩოსა და კანადის ფონდი ლოკალური ინიციატივებისთვის (CFLI) მხარდაჭერით. აღნიშნული ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებელი არის ცენტრი და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. აკრძალულია გზამკვლევში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ცენტრი მადლობას უხდის მოქალაქე ჟურნალისტებსა და დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლებს კონტრიბუციისთვის.

გზამკვლევის ციტირების წესი: მოქალაქე ჟურნალისტის გზამკვლევი, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა“, 2025.

სარჩევი

შესავალი 4

1. სამოქალაქო ჟურნალისტიკის როლი და დანიშნულება 5

2. ვინ არიან მოქალაქე ჟურნალისტები? 6

2.1. მოქალაქე ჟურნალისტების კატეგორიები 6

2.2. მოქალაქე ჟურნალისტი და პროფესიონალი ჟურნალისტი 8

2.3. მოქალაქე ჟურნალისტი და მამხილებელი (Whistleblower) 10

3. შვიდი ისტორია მოქალაქე ჟურნალისტებისგან 12

4. მედიისა და მოქალაქე ჟურნალისტების თანამშრომლობა 14

5. კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა 15

5.1. საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკა 16

5.2. ფარული ჩანაწერის გამოყენება 16

5.3. წყაროს კონფედენციალობის დაცვა 18

6. ეთიკური სტანდარტები მედიაში და მის მიღმა 20

7. მოქალაქე ჟურნალისტების როლი არჩევნებისა და კრიზისებისას 21

8. სამოქალაქო ჟურნალისტის გამოწვევები 26

9. ადვოკატირება და ინკლუზიურობა 31

10. როგორ გავხდეთ მოქალაქე ჟურნალისტი? 33

სასარგებლო რესურსები 34

რეკომენდაციები 36

დასკვნა 38

გამოყენებული რესურსები 39

შესავალი

გზამკვლევის მიზანია საქართველოში სამოქალაქო ჟურნალისტიკის პოპულარიზაციის გზით მოქალაქეების დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობის გაზრდა, სამოქალაქო ჟურნალისტების საქმიანობისა და მათი როლის გაძლიერება.

საქართველოში დეზინფორმაციასთან ბრძოლის წინა ხაზზე დამოუკიდებელი ჟურნალისტები და აქტიური მოქალაქეები არიან, განსაკუთრებით არჩევნებისა და პოლიტიკური კრიზისების დროს. ტექნოლოგიური განვითარებისა და სოციალური მედიის შესაძლებლობების ზრდასთან ერთად, მოქალაქეები ყოველდღიურად აქტიურად მონაწილეობენ კრიზისული სიტუაციების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და გავრცელებაში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი ინსტრუმენტებისა და რესურსების შექმნა, რომლებიც ამ პროცესს უფრო ეფექტიანს გახდის და ხელს შეუწყობს მოქალაქე ჟურნალისტების თანამშრომლობას ტრადიციულ და/ან ონლაინ მედიასთან.

გზამკვლევი ეფუძნება ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას, მოიცავს პრაქტიკულ მაგალითებსა და რჩევებს, რომელშიც გათვალიწინებულია ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტები. გზამკვლევი განკუთვნილია აქტიური მოქალაქეებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის და დააინტერესებს ფართო აუდიტორიასაც.

რესურსი თარგმნილია ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე და ხელმისაწვდომია „მედიახმის“ ვებგვერდზე: www.mediavoice.ge

1. სამოქალაქო ჟურნალისტიკის როლი და დანიშნულება

მოქალაქეების ჩართულობა მედიაკონტენტის წარმოებში მზარდია. ნობელის პრემიის ლაურეატი, ფილიპინური მედია “Rappler”-ის დამფუძნებელი, მარია რესა წიგნში „როგორ დავამარცხოთ დიქტატორი“ (2022, გვ. 131) წერს, რომ სამოქალაქო ჟურნალისტიკა კარგი მაგალითია იმისა, როგორ უნდა გამოვიყენოთ ტექნოლოგიები უკეთესი ცვლილებებისთვის და აღწერს მობილური ტელეფონებით შეიარაღებულ მოქალაქეებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, სამართლიანობა და ანგარიშვალდებულება მოითხოვონ.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანამ ჟურნალისტიკა პროფესიად ჩამოყალიბდებოდა, არსებობდნენ აქტიური მოქალაქეები, რომლებიც ავრცელებდნენ ინფორმაციას მათ ხელთ არსებული რესურსებით - ჯერ იყვნენ „მოქალაქე ჟურნალისტები“ და მხოლოდ შემდეგ გაჩნდნენ პროფესიონალი ჟურნალისტები.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა, გამონაკლისი არც ჟურნალისტიკაა. ციფრული წიგნიერებისა და ე.წ. სმარტფონების მოხმარებისა ზრდის ფონზე, ინფორმაციის მოპოვება-გავრცელების პროცესი ბევრად გამარტივდა, რამაც ტრადიციული მედიისა და პროფესიონალი ჟურნალისტების პარალელურად, „სამოქალაქო ჟურნალისტიკა“, როგორც ალტერნატიული მედიის ერთ-ერთი ფორმა, განავითარა.

სამოქალაქო ჟურნალისტიკა და მოქალაქე ჟურნალისტები მედიის ეკოსისტემის შემადგენელ მნიშვნელოვან ნაწილად იქცნენ.

მოქალაქეებს უკვე შეუძლიათ თავად მოიპოვონ ინფორმაცია, შექმნან კონტენტი და გაავრცელონ სხვადასხვა პლატფორმაზე.

სამოქალაქო ჟურნალისტიკა აუდიტორიის ჩართულობას ზრდის და ინფორმაციის თავისუფლად მიმოქცევასა და მედიის დემოკრატიზაციას უწყობს ხელს.

2. ვინ არიან მოქალაქე ჟურნალისტები?

მოქალაქე ჟურნალისტები არიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები (სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ან უმუშევარი პირები), რომლებიც დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსებით ქმნიან და ავრცელებენ აქტუალურ კონტენტს.

ენციკლოპედია „ბრიტანიკას“ მიხედვით, სამოქალაქო ჟურნალისტიკა არ იქნმება პროფესიონალი ჟურნალისტების მიერ. მოქალაქე ჟურნალისტები არ არიან დასაქმებული მედიაში და მათ შესაძლოა არ ჰქონდეთ პროფესიული განათლება. მათ მიერ შექმნილი კონტენტი ვრცელდება სხვადასხვა ვებგვერდის, ბლოგისა თუ სოციალური მედიის საშუალებით. მოქალაქე ჟურნალისტებს განსაკუთრებული როლი აქვთ იქ, სადაც მედიის წარმომადგენლები სრული დაფარვით ვერ მუშაობენ. შესაძლოა ეს იყოს საომარ მოქმედებაში, სტიქიური უბედურებისას, დემონსტრაციების ან არჩევნების დროს. ვიდრე ჟურნალისტები შემთხვევის ადგილზე მივლენ, მოქალაქე ჟურნალისტს შეუძლია ოპერატიულად მოიპოვოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამგვარად, მოქალაქე შესაძლოა თავად გახდეს „ახალი ამბების რეპორტიორი“, რომელიმე სოციალური ქსელის პლატფორმაზე გაავრცელოს ინფორმაცია, აუდიო-ვიზუალური მასალა (მათ შორის სინქრონულად - პირდაპირი ჩართვით).

მოქალაქე ჟურნალისტების საქმიანობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება არჩევნების, პოლიტიკური მოვლენების, ლოკალური და გლობალური კრიზისების დროს. მოქალაქე ჟურნალისტების როლი მნიშვნელოვანია ისეთი თემების გაშუქებისას, რომლებიც შესაძლოა ნაკლებად ხვდება ტრადიციულ მედიაში. მოქალაქეების ამგვარი ჩართულობა მეინსტრიმულ მედიაში გავრცელებული ნატარივების საპირისპიროდ, ალტერნატიული პერსპექტივებით ჩნდება.

მოქალაქე ჟურნალისტის გადაღებულ მასალას ინფომაციული ღირებულება და საინფორმაციო საბაბი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ის, რომ ვინმე მობილურ ტელეფონს იყენებს ვიდეოს გადასაღებად და შემდეგ მას ტვირთავს საკუთარ სოციალურ გვერდზე, არ აქცევს მას მოქალაქე ჟურნალისტად.

ტერმინი „სამოქალაქო ჟურნალისტიკა“ დღემდე კამათის საგანია. ლიტერატურაში შეგხვდებათ „მონაწილეობითი ჟურნალისტიკა“ (“participatory journalism”), ან ე.წ. გრასრუტს ჟურნალისტიკა („Grassroots Journalism“). ეს ტერმინები შემთხვევითი არაა. მოქალაქე ჟურნალისტს არ აქვს დაწესებული პროფესიული ჩარჩოები და სწორედ ამგვარ თავისუფალ ფორმატში კონტენტის შექმნისას, ის სხვადასხვა სოციალურ როლს ირგებს.

2.1. მოქალაქე ჟურნალისტების კატეგორიები

არსებობს მოქალაქე ჟურნალისტების სხვადასხვა კატეგორია, ეროვნული ასოციაციის გზამკვლევში ავტორები (როსი და კორმიერი, 2010) განასხვავებენ სამ კატეგორიას:

1. შემთხვევითი მოქალაქე ჟურნალისტი;
2. დამცველი (advocacy) მოქალაქე ჟურნალისტი;
3. მოქალაქე ჟურნალისტი.

შემთხვევითი მოქალაქე ჟურნალისტია ის, ვინც მოულოდნელად აღმოჩნდა მოვლენათა ეპიცენტრში და აღბეჭდა ესა თუ ის შემთხვევა, რომელიც გაავრცელა რომელიმე სოციალ ქსელსა და პლატფორმაზე. შემთხვევითი მოქალაქე ჟურნალისტები უფრო მეტად აუდიო-ვიდეო და ფოტო კონტენტის შექმნაზე არიან ორიენტირებულები. ტექსტუალური კონტენტი შეიძლება იყოს მასალის წანამძღვარი (საერთაშორისო საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს დავა იმის შესახებ, უნდა ეწოდოს თუ არა მოვლენათა შემთხვევით აღმბეჭდს მოქალაქე ჟურნალისტი).

დამცველი (advocacy) მოქალაქე ჟურნალისტია ადამიანი, რომელიც იზიარებს და იცავს კონკრეტულ სოციალურ, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვა შეხედულებას. ამ შემთხვევაში მოქალაქე ჟურნალისტის პოზიცია/მიკერძოება სრულიად გამჭვირვალე და ნათელია. ამგვარ მუშაობას კარგად ერგება **ადვოკატირების ჟურნალისტიკისა (advocacy journalism)** და **სოლიდარობის ჟურნალისტიკის (solidarity journalism)** მიმართულებები.

მოქალაქე ჟურნალისტი არის ის, ვინც თავისი ინიციატივით ავრცელებს ახალ ამბებს ან გამოხატავს საკუთარ აზრს რაიმე მოვლენის შესახებ. ესაა ხალხის შესახებ, ხალხისთვის, ხალხის მიერ შექმნილი ახალი ამბები.

მოქალაქე ჟურნალისტები დამოუკიდებელი, თავისუფალი მოქალაქე რეპორტიორები არიან. ისინი ჟურნალისტური მიდგომებით არ არიან შეზღუდულები და მუშაობენ სარედაქციო ზედამხედველობის გარეშე.

მოქალაქე ჟურნალისტები ახალი ამბებს აგროვებენ, ამუშავებენ, იკვლევენ, აშუქებენ, აანალიზებენ და ავრცელებენ სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით, რომლებიც ხელმისაწვდომი ინტერნეტმა გახადა.

მილერი (2019) გამოარჩევს ოთხ კატეგორიას. ესენია:

1) მონაწილე (participatory) მოქალაქე ჟურნალისტი;

2) პარა (para) მოქალაქე ჟურნალისტი;

3) ახალი ამბების მოდარაჯე (newsmedia watchdog) მოქალაქე ჟურნალისტი;

4) სათემო (community) მოქალაქე ჟურნალისტი.

მონაწილე მოქალაქე ჟურნალისტი არის ის, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს ტრადიციული მედიის ახალი ამბების, მოსაზრებისა და ინფორმაციული კონტენტის შექმნაში. მილერი ციტირებს ალანს (2017) და მოჰყავს მაგალითი, როცა მოქალაქე ჟურნალისტებმა 2005 წელს ლონდონის დაბომბვის შემდეგ რამდენიმე საათში 100 ფოტო, 20 ვიდეო და 4000 ტექსტური შეტყობინება მიაწოდეს მედიას. ისინი თვითმხილველები იყვნენ და მედიაორგანიზაციებმა გამოიყენეს მათი მასალები, რადგან საკმარისი რესურსები ან წვდომა არ ჰქონდათ კონტენტზე (ალანი, 2007).

პარა მოქალაქე ჟურნალისტი განსაკუთრებით აქტიურდებიან დემონსტრაციების გაშუქებისას. პარა-ჟურნლაისტები არიან ისინი, ვინც „შემთხვევბით ებმევა ჟურნალისტიკაში“ (ლარიკა, 2003, გვ. 71). პარა-ჟურნალისტები ქმნიან და ავრცელებენ ახალი ამბებს, მოსაზრებებსა და ინფორმაციას მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და კონკრეტული მოვლენის გარშემოდროებით გაერთიანებებს აყალიბებენ. პაპაჩარისი (2015) აღნიშნავს, რომ ასეთი გარემო „ემოციური ახალი ამბების ნაკადია“, რაც გულისხმობს „ახალი ამბების კოლაბორაციულად შექმნილ კონსტრუქციას, რომელიც დაფუძნებულია სუბიექტურ გამოცდილებაზე, მოსაზრებებსა და ემოციებზე და რომელიც, თავის მხრივ, ამყარებს და იღებს მხარდაჭერას არსებული საინფორმაციო გარემოსგან“ (გვ. 34). ბევრ ქვეყანაში ჟურნალისტებზე ვრცელდება ინფორმაციის გაშუქების შეზღუდვები, რაც ავტორიტარული რეჟიმების პირობებში საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ართულებს. ასეთ დროს მოქალაქეები იყენებენ დეცენტრალიზებულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რათა აამაღლონ ცნობიერება და გვერდი აუარონ სახელმწიფო კონტროლს (ლოტანი და სხვები 2011). როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მოქალაქე ჟურნალისტები განსაკუთრებით აქტიურდებიან დემონსტრაციების გაშუქებისას.

ახალი ამბების მოდარაჯე მოქალაქე ჟურნალისტი არის ის, ვინც ამოწმებს და აკრიტიკებს მედიის გაშუქებულ ახალ ამბებს, მედიის მიღწევებსა და საქმიანობას.

სათემო მოქალაქე ჟურნალისტი ფოკუსირდება ლოკალურ თემებზე ან ნიშურ საკითხებზე, რომლებიც პროფესიონალი ჟურნალისტების მიერ, როგორც წესი, ყურადღების მიღმა რჩება (ჯონსონი & სტ. ჯონი, 2017; ვოლი, 2015). ის საზოგადოებაზე ორიენტირებული ჟურნალისტია, რომელიც ახალ ამბებს აშუქებს იმ მიზნით, რომ შეავსოს ტრადიციულ მედიაში ინფორმაციული ვაკუუმი და/ან ხელი შეუწყოს სამოქალაქო ჩართულობას (მეცგარი და სხვები., 2011). სათემო მოქალაქე ჟურნალისტი თავად ქმნის სარედაქციო ფილტრებს (ე.წ. gatekeeping-ის პროცესში) ინფორმაციის შერჩევიდან დაწყებული, საბოლოო გამოქვეყნების ჩათვლით ისე, რომ ტრადიციული ჟურნალისტები ამ პროცესში ჩართულნი არ არიან.

2.2. მოქალაქე ჟურნალისტი და პროფესიონალი ჟურნალისტი

ჩვენ ხშირად ვხედავთ მოქალაქეებს, რომლებიც მოვლენის ეპიცენტრში მობილური ტელეფონებით აფიქსირებენ, რა ხდება მათ გარშემო. ისინი არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები და არც მათი კონკურენტები. სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეებმა უბრალოდ იციან, რა ძალა შეიძლება ჰქონდეს სიმართლის ტირაჟირებისთვის მათ მიერ გადაღებულ მასალას და მოვლენების დაფიქსირება ჩვევაში აქვთ გამჯდარი.

▶ რა განსხვავებაა სამოქალაქო ჟურნალისტსა და პროფესიონალ ჟურნალისტს შორის?

პროფესიონალი ჟურნალისტისგან განსხვავებით, მოქალაქე ჟურნალისტს შეუძლია გააშუქოს ამბავი, რომელშიც თავადაა მოქმედი პირი. ამ კუთხით ის კვეთს პროფესიულ „წითელ ხაზს“ - თუ პროფესიონალი ჟურნალისტი დამკვირვებელია, მოქალაქე ჟურნალისტს შეუძლია მოვლენები საკუთარი პერსპექტივიდან აღწეროს. განსხვავებები მოიცავს არაერთ მახასიათებელს, რომელიც სხვადასხვაგვარად ვლინდება ინფორმაციის მოპოვებაში, დამუშავებასა და გავრცელებაში და ასახულია ცხრილში N1.

ცხრილი 1: განსხვავებები პროფესიონალ და მოქალაქე ჟურნალისტს შორის

მახასიათებლები	პროფესიონალი ჟურნალისტი	მოქალაქე ჟურნალისტი
პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია	უმეტეს შემთხვევაში განათლება და/ან პროფესიული გადამზადება აქვს მიღებული ჟურნალისტიკის ან კომუნიკაციის სფეროში.	ხშირად არ აქვს ჟურნალისტის განათლება და/ან მედიაში მუშაობის გამოცდილება.
სტანდარტები და ეთიკა	მოქმედებს პროფესიული და ეთიკური სტანდარტებისა შესაბამისად.	ფორმალურად არ არის შეზღუდული პროფესიული ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებით.
წყაროთა გამოყენება და გადამოწმება	ხშირად იყენებს ოფიციალურ წყაროებს და ვალდებულია, გადაამოწმოს ინფორმაცია.	ეყრდნობა მოვლენათა თვითმხილველების მონაყოლს, ისტორიებს ან სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციას, რაც შესაძლოა ყოველთვის არ იყოს გადამოწმებული.
სამუშაო ადგილი და დაფინანსება	მუშაობს მედიაში, რომელშიც აქვს ანაზღაურება, სამუშაო ადგილი და სხვა რესურსები.	ოფიციალურად არაა დასაქმებული მედიაში, კონტენტს ქმნის ნებაყოფლობით საზოგადოებრივ საწყისებზე.
პერსონალური ბრენდინგი, აფილიაცია	მოქმედებს მედიაორგანიზაციის სახელით, რომელსაც აქვს სარედაქციო პოლიტიკა. ანგარიშვალდებულია კომპანიასთან და მის მენეჯმენტთან.	მედიასთან არაა აფილირებული. ინფორმაციას ავრცელებს საკუთარი სახელით და საკუთარ პლატფორმებზე.

▶ რა საერთო აქვს სამოქალაქო ჟურნალისტსა და პროფესიონალ ჟურნალისტს?

მოქალაქე და პროფესიონალ ჟურნალისტებს აქვთ საერთო მახასიათებლებიც, კერძოდ:

» ორივე მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას მიმდინარე მოვლენებზე და საკითხებზე;

» ღირებული პროდუქტის შექმნისთვის აუცილებელია, მასალა იყოს ინფორმაციული, მოიცავდეს ჟურნალისტური თხრობის ელემენტებს, რეპორტაჟულ და/ან ვიზუალურ თხრობას, განმარტებას და სხვ. ამიტომ ნებისმიერი LIVE ჩართვა არაა სამოქალაქო ჟურნალისტიკა;

» ორივე იყენებს სხვადასხვა მეთოდსა და პლატფორმას ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელებისთვის;

» ორივე იყენებს ვიდეო, აუდიო, ფოტო და ტექსტურ მასალებს ინფორმაციის გასავრცელებლად.

ჟურნალისტების მსგავსად, მოქალაქეებიც იყენებენ ე.წ. Doorstepping-ის მეთოდს. Doorstepping-ი

არის, როცა ჟურნალისტები დაუგეგმავად, პირდაპირ ეკონტაქტებიან რესპონდენტებს და კითხვებს უსვამენ მაშინ, როცა მათ არ ელიან. ეს მეთოდი გამოიყენება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებისა და დაუყოვნებელი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის ეს ხშირად დაგეგმილი და სტრატეგიულად მართვადი პროცესია, რომელიც ითვალისწინებს სარედაქციო სტანდარტებს. მოქალაქე ჟურნალისტებიც ხშირად იყენებენ doorstepping-ს, რადგან ისინი შემთხვევით ხდებიან მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრში, ხვდებიან საჯარო ფიგურებს, რის შემდეგაც იმპულსურად ცდილობენ მათგან ინფორმაციის მიღებას.

განსხვავებები და მსგავსებები ცხადყოფს, რომ პროფესიონალი და მოქალაქე ჟურნალისტების როლი მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიმოქცევის პროცესში, თუმცა მათი სამუშაო სტილი, რუტინა, პასუხისმგებლობები და რესურსები განსხვავებულია.

2.3. მოქალაქე ჟურნალისტი და მამხილებელი (Whistleblower)

მამხილებელი[1] (Whistleblower) არის პირი, რომელიც ამჟღავნებს ორგანიზაციის შიგნით არსებულ დარღვევებს და არაეთიკური ქცევის შესახებ ასაჯაროებს ინფორმაციას ფართო საზოგადოების ინფორმირებისთვის. უსაფრთხოების მიზნით ის ხშირად მოქმედებს ანონიმურად.

▶ რა განსხვავებაა მამხილებელსა და მოქალაქე ჟურნალისტს შორის?

მიუხედავად იმისა, რომ მამხილებლები და მოქალაქე ჟურნალისტები ორივე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფაში, მათი ფუნქციები, საქმიანობის მასშტაბები და მიდგომები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება, რაც ასახულია ცხრილში N 2-ში.

[1] დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონის მიხედვით ტერმინის შესატყვისია მეგანგაშეც.

ცხრილი N 2: მამხილებლებისა და მოქალაქე ჟურნალისტების შედარება

მახასიათებლები	ე.წ. Whistleblower	მოქალაქე ჟურნალისტი
საქმიანობის კონტექსტი და მასშტაბი	მოქმედებს ორგანიზაციულ დონეზე არსებული კორუფციის, დანაშაულის ან საფრთხეების კონტექსტში. როგორც წესი, მოქმედებს ორგანიზაციის შიგნით არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით.	ასაჯაროებს საზოგადოებრივ დონეზე მნიშვნელოვან მოვლენებს. ეს შეიძლება იყოს ქუჩაში გადაღებული ვიდეოები, საარჩევნო პროცესზე დაკვირვება, კრიზისების დოკუმენტირება და სხვ.
გამოწვევები	ხშირად სჭირდებათ სამართლებრივი დაცვა; მათი საქმიანობა შეიცავს უსაფრთხოების რისკებს, შურისძიების ჩათვლით.	შეიძლება გაავრცელონ დეზინფორმაცია; მათი საქმიანობა შეიცავს უსაფრთხოების რისკებს.
რესურსები და ინსტრუმენტები	ორგანიზაციის შიდა დოკუმენტები, მტკიცებულებები და/ან კონფიდენციური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მიაწოდონ მედიას ან სხვა გზით გაასაჯაროონ.	მოვლენის განვითარების ადგილზე მოპოვებული ვიდეოები და ფოტოები, რომლებიც შეიძლება გაავრცელონ სოციალური ქსელებით, სმარტფონებით.

როგორც ვხედავთ, Whistleblower-ები და მოქალაქე ჟურნალისტები ორივე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში[2].

[2] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ევროპის საბჭოს ინსტრუმენტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის არასრულ ჩამონათვალს კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით. : Whistleblowers, 2018, Council of Europe, Thematic factsheet, 2018,ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/factsheet-on-whistleblowers-14june2018/16808b3531 (ბოლო ნახვა: 20.01.2025)

3. შვიდი ისტორია მოქალაქე ჟურნალისტებისგან

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სამოქალაქო ჟურნალისტიკაც სწრაფად ვითარდება, უკვე არსებობს მაგალითები, რომლებიც ადასტურებს ამ მიმართულების პერსპექტიულობას. რეზონანსული ისტორიები მოიცავს დანაშაულებს, სტიქიურ უბედურებებს, ტერორისტულ აქტებს, პოლიტიკურ კრიზისებს, რევოლუციებს და სხვ.

» **პირველი წარმატებული მაგალითი:** 2000 წელს სამხრეთ კორეაში ონლაინ მეწარმემ, ოჰ იეონ-ჰომ განაცხადა: „ყველა მოქალაქე ჟურნალისტია“. ის უკმაყოფილო იყო ტრადიციული სამხრეთ კორეული პრესით და თავის სამ კოლეგასთან ერთად თავად დააარსა ყოველდღიური ონლაინ გაზეთი. მას არ ჰქონდა ფინანსები იმისთვის, რომ დაექირავებინა პროფესიონალები და დაებეჭდა გაზეთი, ამიტომ მოხალისეებთან ერთად შექმნა ვებგვერდი OhmyNews, რომელმაც დაიწყო მუშაობა 727 მოქალაქე ჟურნალისტთან ერთად, ჯერ ერთ ქვეყანაში, ხოლო 2007 წელს 50,000 კონტრიბუტორი რეპორტიორი გაიჩინა 100 ქვეყანაში.

» **“Rappler”-ის კამპანია (ფილიპინები, 2010 წლის 10 მაისი):** ფილიპინელი ჟურნალისტისა და ნობელის პრემიის ლაურეატის, მარია რესას მიერ დაფუძნებულ მედიას 2010 წლის 10 მაისს, არჩევნების დღეს ჰყავდა 90 ათასი რეგისტრირებული მოქალაქე ჟურნალისტი. თავის წიგნში („როგორ დავამარცხოთ დიქტატორი“) მარია რესა იხსნებს, რომ **ფილიპინებზე მოქალაქე ჟურნალისტების საქმიანობას დანაშაულის პრევენციის ეფექტი ჰქონდა**:

> „[...]ხშირი იყო მოქალაქე-ჟურნალისტების მიერ კორუფციის, მექრთამეობის, არჩევნებზე ძალადობის, ჩარევისა და სხვა დარღვევების გამოაშკარავება. მათმა მოქმედებებმა დღის წესრიგი შექმნა - სხვადასხვა კანდიდატი და მათი მომხრეები ვეღარ არღვევდნენ ასე ადვილად საარცევნო კოდექსს. ყველას, ვისაც მობილური ტელეფონი ჰქონდა, მათი გადაღება შეეძლო და შემდეგ ეს ფაქტები ABS-CBN-ის ეთერში ხვდებოდა მოხვდებოდა[...]” (გვ. 131).

» **ჯორჯ ფლოიდის საქმე (აშშ, 2020 წლის 25 მაისი):** როდესაც 17 წლის დარნელა ფრეიჟერმა (Darnella Frazier) აშშ-ში, ქუჩაში ჯორჯ ფლოიდის მკვლელობა ტელეფონით გადაიღო. ახალგაზრდა ქალი შეესწრო ფერადკანიანი მამაკაცის დაკავებას, რომელსაც პოლიცია არასათანადოდ მოეპყრა. რომ არა ეს 10 წუთიანი ვიდეო[3], საზოგადოება რეალურ სურათს ვერ ნახავდა. ვიდეოს გამოქვეყნებას მოჰყვა ფართომასშტაბიანი პროტესტი, პოლიციელი პასუხისგებაში მისცეს და დამნაშავედ ცნეს. ვიდეო გამოიყენეს სასამართლოზეც. მიუხედავად იმისა, რომ დარნელა ფრეიჟერი პროფესიონალი ჟურნალისტი არ არის, 2021 წელს მან მიიღო სპეციალური პრიზი პულიცერის პრემიის საბჭოსგან. პულიცერის პრემიის საბჭოს თანათავმჯდომარემ, მინდი მარკესმა ცერემონიაზე თქვა: „ფლოიდის ისტორია განსაკუთრებით აღსანიშნავია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზს უსვამს ჟურნალისტების არსებით როლს, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეების მზარდ მნიშვნელობას სიმართლისა და სამართლიანობის დაცვაში“.

» **Tahrir Square Protests (ეგვიპტე, 2011) -** არაბული გაზაფხულის დროს, სამოქალაქო ჟურნალისტებმა და აქტივისტებმა სოციალურ მედიაში (Twitter, Facebook) გაავრცელეს ინფორმაცია საპროტესტო აქციებზე, რომლებიც ტრადიციულ მედიას დაბლოკილი ჰქონდა. ვიდეოები და ფოტოები სოციალურ ქსელებში ფართოდ გავრცელდა და საერთაშორისო მედიისთვის მნიშვნელოვანი წყარო გახდა (წყარო: BBC News)

---

[3] 2025 წლის იანვარში Meta/Facebook პლატფორმაზე ვიდეოს 1,800, 000 ნახვა, 27,600 კომენტარი და 37,000 რეაქცია ჰქონდა

» **ბოსტონის მარათონის ტრაგიკული მოვლენები (2013):** ბოსტონის მარათონის აფეთქება 2013 წელს ტრაგიკული ტერორისტული თავდასხმა იყო, რომელიც 2013 წლის 15 აპრილს ბოსტონში, ყოველწლიური მარათონის დროს მოხდა. ფინიშის ხაზთან ორი ხელნაკეთი ბომბი აფეთქდა, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა და 260-ზე მეტი დაშავდა. FBI-ის ანალიტიკოსებმა გამოძიების მიმდინაროებისას დეტალურად შეისწავლეს არა მხოლოდ მარათონის ტერიტორიაზე განთავსებული კამერები, არამედ მაყურებლების მიერ ტელეფონით გადაღებული ფოტო და ვიდეო მასალა. შედეგად, მათ ორი ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება შეძლეს. ხელისუფლებამ გაავრცელა ეჭვმიტანილების ფოტოები საზოგადოებაში და დახმარება ითხოვა მათი იდენტიფიცირებისთვის. ფოტოები ფართოდ გავრცელდა და საზოგადოებიდან უამრავი ინფორმაცია მიიღეს.

» **წყალდიდობა თბილისში (საქართველო, 2015 წლის 13 ივნისი) -** წყალდიდობის ეს მოვლენა საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია. 13 ივნისის ღამეს მდინარე ვერეს ადიდების შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა დაკარგულად ითვლება 2 ადამიანი, სტიქიამ ასეულობით ადამიანი დააზარალა, დაზარალდა თბილისის ზოოპარკიც, რომლის ბინადრების ნაწილი წყალმა იმსხვერპლა, ნაწილი კი გაიქცა ქალაქში. სტიქიის შესახებ კადრები გავრცელდა სოციალურ ქსელებში და ბევრმა ადამიანმა ეს ამბავი სწორედ სოც.ქსელებიდან შეიტყო. ადამიანები იღებდნენ ვიდეოებსა და ფოტოებს ადგილიდან, რამაც საზოგადოებაში სოლიდარობა გააღვივა, მოხდა საკითხის გარშემო კონსოლიდირება და უამრავი მოხალისე ჩაერთო დაზარალებულთა დასახმარებლად და ადგილების მოსაწესრიგელბლად. ქვეყნდებოდა მასალები, რომლებშიც მოქალაქეები აფრთხილებდნენ ხალხს, რომ ისმოდა გარეული ცხოველების ხმები. მართალია, ზოგიერთი ვიდეო ყალბი აღმოჩნა, ზოგში კი საერთოდ არ ისმოდა ცხოველების ხმები, თუმცა მოქალაქეების ჩართულობა და სიფრთხილის გამოჩენა პროცესს მაინც დაეხმარა.

» **პოსტ-არჩევნების კამპანია #მევნახეგაყალბება (საქართველო, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების პოსტ-კამპანია) -** საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სოციალურ ქსელებში დაიწყო კამპანია, რომელიც არჩევნების შემდეგ მოუწოდებდა მოქალაქეებს, გამოექვეყნებინათ მათ ხელთ არსებული დარღვევები ჰეშთეგით #მევნახეგაყალებება. ამ გზით მოძიებული არაერთი მასალა გაყალებების მტკიცებულებად წარადგინეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

4. მედიისა და მოქალაქე ჟურნალისტების თანამშრომლობა

მოქალაქე ჟურნალისტები არჩევნებისა და კრიზისების დროს მედიის მაშველი რგოლის ფუნქციას ასრულებენ.

ადგილებში, სადაც პროფესიონალი მედია ვერ აღწევს, მოქალაქე დამკვირვებლები და მოქალაქე ჟურნალისტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ითავსებენ „მოდარაჯე ძაღლების“ (“Watchdogs”) ფუნქციას.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი მედია ორგანიზაციებში დასაქმებულები არ არიან, მათ შეუძლიათ ე.წ. სმარტფონების გამოყენებით გადაიღონ ვიდეო და ფოტო, გავიდნენ პირდაპირი ჩართვის რეჟიმში სხვადასხვა სოციალურ პლატფორმაზე და გაავრცელონ მნიშვნელოვანი ამბები.

მოქალაქე ჟურნალისტები შეიძლება არაპირდაპირ, სხვადასხვა ფორმით „თანამშრომლობდნენ“ მედიაორგანიზაციასთან.

როდესაც მოქალაქე ჟურნალისტის მიერ გადაღებულ მასალას მედიაორგანიზაცია აქვეყნებს, მასალა სარედაქციო ფილტრს გადის და, შესაბამისად, ირიბად მოქალაქის ინსტიტუციური მხარდამჭერი ხდება. ეს თანამშრომლობა შეიძლება განივრცოს პროფესიული და/ან სასამართლო დავის შემთხვევაშიც.

ამგვარი თანამშრომლობა შეიძლება სასარგებლო იყოს მოქალაქის მიერ ფარული ჩანაწერის გავრცელებისა ან წყაროს კონფიდენციალობის დაცვის დროს, რადგან მოქალაქე ჟურნალისტები ვერ სარგებლობენ დაცვის იმ მექანიზმებით, რაც აქვთ პროფესიონალ ჟურნალისტებს.

5. კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა

მოქალაქე ჟურნალისტებისა და პროფესიონალი ჟურნალისტების განსხვავება ხშირად განისაზღვრება მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებზე, რაც კანონმდებლობასა და სასამართლო პრეცედენტებშიც ჩნდება. საერთაშორისო და ადგილობრივ სამართლებრივ კონტექსტში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტებია[4]:

- **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია:** მე-19 მუხლში წერია: „ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგვარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა.“

- **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტი მოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR):** მე-19 მუხლი უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს ყველას, მათ შორის შეგვიძლია მოვიაზროთ მოქალაქე ჟურნალისტებიც.

- **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ECHR):** მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებასა და სარედაქციო საქმიანობას, რაც ვრცელდება როგორც პროფესიონალ, ისე მოქალაქე ჟურნალისტებზე.

საქართველოს კანონმდებლობა ჟურნალისტისა და მოქალაქე ჟურნალისტის სტატუსს ერთმნიშვნელოვნად არ ასხვავებს, თუმცა გარკვეული რეგულაციები გულისხმობს პროფესიულ სტანდარტებსა და აკრედიტებული ჟურნალისტების უფლება-მოვალეობებს.

- **საქართველოს კონსტიტუცია, კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ:** ჟურნალისტის უფლებები და დაცვა მკაფიოდ განსაზღვრულია, რაც მოიცავს მათი წყაროების დაცვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიას. მოქალაქე ჟურნალისტები ამ კანონით არ არიან გათვალისწინებული, თუმცა გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილია კონსტიტუციის მე-17 მუხლით.

- **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი** მიზნად ისახავს სახელმწიფო ჩარევისგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნას, მედიასფეროს რეგულირებას სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპებით. კანონი უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლებას, ხელს უწყობს მედიამომსახურების მიმწოდებლებს შორის კონკურენციას და თანასწორობას, ასევე უზრუნველყოფს სიხშირეების ეფექტიან გამოყენებას ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით.

- **საქართველოს საარჩევნო კოდექსი** საარჩევნო პროცესის გაშუქებაზე მოითხოვს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების აკრედიტაციას. ეს პროცედურა მოქალაქე ჟურნალისტებს არ ეხებათ.

---

[4] ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან და გამოხატვასთან დაკავშირებული ძირითადი ტექსტები, დეკლარაციები, გადაწყვეტილებები, რეზოლუციები და კონვენციები არასრული სია იხილეთ UNESCO-ს ჩანართში, ხელმისაწვდომია: https://www.unesco.org/en/safety-journalists/basic-texts (ბოლო ნახვა: 20.01.2025)

5.1. საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკა

საერთაშორისო მასშტაბით არსებობს საინტერესო პრეცედენტული გადაწყვეტილებები, როცა გამოკვეთილია მოქალაქე ჟურნალისტსა და პროფესიონალი ჟურნალისტის საქმიანობის კვეთა[5]. ასეთ რამდენიმე მაგალითს გამოვყოფთ:

1) **GLIK V. CUNNIFFE** (აშშ, 2011)**:** ეს პრეცედენტი არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემთხვევა, როდესაც ამერიკულმა სასამართლომ 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილებით მოქალაქეს საჯარო სივრცეში პოლიციის ქმედებების ვიდეოგადაღების უფლება მიანიჭა. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი აქტივობა არ მოითხოვს ჟურნალისტის სტატუსს და დაცულია შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორებით.

2) **OBERSCHLICK V. AUSTRIA** (ECHR, 1997): ეს საქმე ეხებოდა გამოხატვის თავისუფლებას ჟურნალისტების კონტექსტში და ხაზს უსვამდა ჟურნალისტური საქმიანობის განსაკუთრებულ როლს დემოკრატიის დაცვაში. გადაწყვეტილებაში არ განიხილებოდა მოქალაქე ჟურნალისტების სტატუსი ცალკე, თუმცა კონვენციის დაცვის ფარგლები მათზეც ვრცელდება.

3) **Magyar Helsinki Bizottság v. Hungary** (ECHR, GC, 2016), სასამართლო დაეყრდნო საქმეზე *Cengiz and Others v. Turkey (2015),* მიღებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ ტრადიციული მედიის მიერ უგულებელყოფილი პოლიტიკური შინაარსი ხშირად ვრცელდება გარკვეული ვებგვერდების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარებას. იგი ხაზს უსვამს, რომ შესაბამისი სერვისების დაბლოკვა მომხმარებლებს ართმევს შესაძლებლობას, თავისუფლად მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია.

საქართველოს სასამართლოებში არ არის ცნობილი პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რომლებიც განასხვავებს მოქალაქე და პროფესიონალ ჟურნალისტს, თუმცა საინტერესოა ფარული ჩანაწერის გამოყენებისა და წყაროს კონფიდენციალობის დაცვასთან დაკავშირებული პრაქტიკა.

5.2. ფარული ჩანაწერის გამოყენება

მოქალაქე ჟურნალისტებისთვის ფარული ჩანაწერის გამოყენებას შეიძლება სამართლებრივი რისკები ჰქონდეს, რადგან სასამართლოში მათი პროფესიული ფორმალური სტატუსი არ არის აღიარებული.

[5] ECHR-KS Key theme – Article 10 Contributions to public debate: Journalists and other actors, (Last updated: 31/08/2024), ხელმისაწვდომია: https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/contributions-to-public-debate-journalists-and-other-actors (ბოლო ნახვა: 20.01.2025). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დოკუმენტი მოიცავს მოქალაქე ჟურნალისტების საქმიანობასთან დაკავშირებულ განმარტებებს, რომლებიც სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლების დაცვით (ECHR-KS, მუხლი 10).

ეს ართულებს ჩანაწერის „საჯარო ინტერესის“ დასაბუთებას. პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის კი პროფესიული სტატუსი და მედიაორგანიზაციის მხარდაჭერა შეიძლება დამატებითი დაცვა იყოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება განიხილოს ფარული ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება, თუ იგი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს და არ არღვევს კანონმდებლობას. ეს მახასიათებლები ასახულია ცხრილში N 3.

ცხრილი N3: ფარული ჩანაწერის გამოყენება

მახასიათებლები	მოქალაქე ჟურნალისტები	პროფესიონალი ჟურნალისტები
სამართლებრივი სტატუსი	არ აქვთ აღიარებული პროფესიული სტატუსი, რაც ართულებს ფარული ჩანაწერის „საჯარო ინტერესის“ დასაბუთებას.	პროფესიული სტატუსი და მედიაორგანიზაციის მხარდაჭერა შეიძლება დამატებითი დაცვა იყოს.
საჯარო ინტერესის დასაბუთება	სამართლებრივი რისკები მაღალია, რადგან შეიძლება ვერ შეძლონ ფარული ჩანაწერის შექმნის დასაბუთება სასამართლოში.	სასამართლოში ფარული ჩანაწერი შეიძლება განიხილებოდეს, თუ იგი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს და კანონმდებლობას არ არღვევს.
მტკიცებულებად გამოყენება	ფარული ჩანაწერის მტკიცებულებად მიღება უფრო რთულია ფორმალური პროფესიული სტატუსის არარსებობის გამო.	სასამართლოს მიერ შეიძლება მიღებულ იქნას, თუ დასაბუთებულია, რომ ჩანაწერი არ არღვევს კანონმდებლობას და ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს.
პერსონალური პასუხისმგებლობა	სამართლებრივი პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ მოქალაქე ჟურნალისტებს, ორგანიზაციული მხარდაჭერის გარეშე.	მედიაორგანიზაციის მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის შესაძლებლობა ამცირებს პასუხისმგებლობის რისკს.

5.3. წყაროს კონფედენციალობის დაცვა

საქართველოში **წყაროს კონფიდენციალობის დაცვა** არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც ჟურნალისტებს შეუძლიათ გამოიყენონ ინფორმაციის თავისუფლების დაცვის კონტექსტში. პრაქტიკაში პროფესიონალ ჟურნალისტებს უფრო მაღალი აღიარება აქვთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი მედიაორგანიზაციაში არიან დასაქმებულნი.

კანონმდებლობა წყაროს კონფიდენციალობის დაცვის შესახებ:

» **საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 17):** საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, რაც მოიცავს ინფორმაციის თავისუფლად მოპოვებისა და გავრცელების უფლებას. წყაროს კონფიდენციალობის დაცვა ამ უფლების განუყოფელი ნაწილია.

» **„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“[6] კანონი (მუხლი 11):** ჟურნალისტებს აქვთ უფლება, არ გამოამჟღავნონ ინფორმაციის წყარო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის აუცილებლობა გამოწვეულია **სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებით**, როგორიცაა: **სიცოცხლის გადარჩენა**, **მძიმე დანაშაულის აღკვეთა;** ეს დაცვა ვრცელდება იმ პირებზე, ვინც ჟურნალისტად აღიარებულია ან მუშაობს მედიის პროფესიულ გარემოში. თუ მოქალაქე ჟურნალისტი ასრულებს ჟურნალისტურ საქმიანობას, იღებს კონფიდენციალურ ინფორმაციას დაცვის პირობით და მისი გამჟღავნება აზიანებს პირის პროფესიულ რეპუტაციას, შესაძლებელია, რომ ეს ნორმა მათზეც გავრცელდეს. თუმცა კანონმდებლობა ამას პირდაპირ არ აწესრიგებს.

პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის წყაროს კონფიდენციალობის დაცვა სასამართლო პროცესებზე აღიარებულია და ხშირად არგუმენტად გამოიყენება, რომ **წყაროს გამჟღავნებამ** შეიძლება მედიის თავისუფლება და საზოგადოებრივი ინტერესი დააზიანოს, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არის პრობლემატური მუხლები, რომლებიც ჟურნალისტის დაცვას ართულებს[7]. **მოქალაქე ჟურნალისტებისთვის ეს კიდევ უფრო რთული ხდება,** რაც ასახულია ცხრილში N4.

[6] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი პროფესიული საიდუმლოებისა და მისი წყაროს აბსოლუტურ დაცვას ითვალისწინებს - „პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სასამართლო დავისას მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამხელის ვალდებულება.“

[7] პრობლემატურია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს იმ პირებს, რომლებისგანაც არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება. მათ შორის არაა ჟურნალისტი.

ცხრილი N4: წყაროს კონფიდენციალობის დაცვა

მახასიათებელი	პროფესიონალი ჟურნალისტი	მოქალაქე ჟურნალისტი
სამართლებრივი დაცვა[8]	სისხლის სამართლის საქმეებზე არაა ვალდებული, იყოს მოწმე პროფესიული საქმიანობიდან მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.	იშვიათად არის დაცული, რადგან ფორმალური სტატუსი არ აქვს. დაცულია, როგორც სამოქალაქო პირი.
მედიის მხარდაჭერა	აქვს ინსტიტუციური მხარდაჭერა და დაცვის მექანიზმები.	არ აქვს მხარდაჭერა და ინსტიტუციური დაცვა.
წყაროს დაცვა სასამართლოში[9]	დაცულია, თუ არ არის სახელმწიფო უსაფრთხოების ან მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული საქმე.	წყაროს დაცვის მოთხოვნა სუსტია.

წყაროს კონფიდენციალობის დაცვა საქართველოში გათვალისწინებულია კანონმდებლობით და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. თუმცა მოქალაქე ჟურნალისტებისთვის ამ დაცვის ეფექტიანობა სუსტია, რადგან მათ არ აქვთ პროფესიონალური აღიარება და ინსტიტუციური მხარდაჭერა.

ამ კუთხით მედიაორგანიზაციებთან მოქალაქეების თანამშრომლობის ფორმატის ჩამოყალიბება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

[8] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით ჟურნალისტი არ არის ვალდებული იყოს მოწმე, პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პროფესიული საიდუმლოების ცნებას საერთოდ არ ცნობს.

[9] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინება კონფიდენციალური ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილის გამხელასთან დაკავშირებით, რომლის გამხელის აუცილებლობაც დამტკიცდა“.

6. ეთიკური სტანდარტები მედიაში და მის მიღმა

ეთიკური ჟურნალისტიკა საზოგადოების ინფორმირების, პლურალიზმის, დემოკრატიული ღირებულებებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მედიის თვითრეგულირების ორგანოა, რომელიც 2009 წელს დაარსდა, საქართველოში მედიისთვის ეთიკური მუშაობის სტანდარტებს განსაზღვრავს. ქარტია განსაზღვრავს 11 ძირითად პრინციპს, რომლებიც ჟურნალისტებისთვის საქმიანობის ეთიკურ ჩარჩოს წარმოადგენს. პრინციპები მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებს, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და გავრცელებას. ეს პრინციპები ასევე სამოქალაქო ჟურნალისტებისთვის ღირებული სახელმძღვანელოა, რადგან მათი საქმიანობა პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების ინფორმირებულობასა და დემოკრატიულ პროცესებზე.

მედიაში დასაქმებული ჟურნალისტისგან განსხვავებით, მოქალაქე ჟურნალისტი თავისუფალია სარედაქციო ფილტრისა და ბიუროკრატიისგან.

იგი არ უთანხმებს რედაქტორსა თუ პროდიუსერს, რომელი ახალი ამბავი უნდა გავრცელდეს, რა რიგითობით, ვინ უნდა შეირჩნენ რესპონდენტებად და რა წყაროები უნდა იქნეს გამოყენებული, რა დრო უნდა დაეთმოს ამბავს, როგორ შეიფუთოს სხვა ამბავთან მიმართებით, რა პლატფორმაზე გავრცელდეს ინფორმაცია და სხვ. თუმცა ამ შემთხვევაში გაზრდილია პასუხისმგებლობაც და ის მთლიანად მოდის ერთ მოქალაქეზე და არა მედიაზე, როგორც ინსტიტუციაზე. შესაძლოა ამ ფაქტორმა იმუშაოს როგორც თვითცენზურის შემცირებაზე, ასევე პირიქით - გაზარდოს დაუცველობისა და შიშის განცდა.

ნდობის მოპოვება მნიშვნელოვანია როგორც პროფესიონალი, ისე მოქალაქე ჟურნალისტისთვის. პრაქტიკაში არსებობს ინფორმაციის გადაუმოწმებლად გავრცელების ალბათობა. იქიდან გამომდინარე, რომ მოქალაქე ჟურნალისტები არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები, მათ შეიძლება გამორჩეთ ჟურნალისტიკის უმთავრესი პრინციპი, რაც ფაქტების გადამოწმებას გულისხმობს. ისინი შეიძლება უნებლიეთ აღმოჩნდნენ დეზინფორმაციის გამტარები. ასეთ შემთხვევაში იზრდება რისკი, რომ მოქალაქე ჟურნალისტი გახდეს მისინოფორმატორი და „ნოყიერი ნიადაგი“ შეუქმნას ე.წ. სპირალური დეზინფორმაციას. ცირკულარული ან სპირალური დეზინფორმაცია არის ფენომენი, რომლის დროსაც მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მიმოქცევაში ტრიალებს და ძლიერდება კონკრეტული წყაროების ქსელში, რაც სანდოობისა და ფართოდ მიღების ილუზიას ქმნის - პროცესი შეიძლება მოიცავდეს მედია საშუალებებს, სოციალური მედიის პლატფორმებს, ფართო ინტერესთა ჯგუფებს. ერთსა და იმავე ინფორმაციის განმეორებითი გავრცელება მას ლეგიტიმურად აჩენს და უარყოფას ართულებს.

7. მოქალაქე ჟურნალისტების როლი არჩევნებისა და კრიზისებისას

მედიას მნიშვნელოვანი როლი აქვს ამომრჩევლების ინფორმირებასა და საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. მედიის როლი ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია არჩევნებში ჩართული მხარეების ანგარიშვალდებულების გაზრდისთვის. მედიისა და მოქალაქე ჟურნალისტების მიერ არჩევნების თემატიკის გაშუქება და მოვლენების დოკუმენტირება მოიცავს არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდებსაც.

საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ტრადიციულ და ონლაინ მედიას მნიშვნელოვანი გამოწვევები ჰქონდა თითოეულ საარჩევნო უბანზე წვდომისა და ინფორმაციის გაშუქების კუთხით. დაძაბული წინასაარჩევნო პროცესის გამო, რაც მოიცავდა ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებას - კრიტიკული მედია საარჩევნო წელს დასუსტებული დახვდა.

საქართველოში არჩევნები ჩატარდა 3310 საარჩევნო უბანზე, რომელთაგან 67 საზღვარგარეთ მდებარეობდა. ქართულ მედიას (განსაკუთრებით კრიტიკულ, დამოუკიდებელ და რეგიონულ მედიას) არ გააჩნდა საკმარისი რესურსები იმისთვის, რომ ყველა საარჩევნო უბანზე ოპერატიულად გაეშუქებინა არჩევნები და/ან ჰქონოდა წვდომა ინფორმაციაზე. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ აკრედიტაცია გაიარა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების 158 წარმომადგენელმა, მათგან 78 (49%) საერთაშორისო მედია და/ან მათი ბიუროები იყვნენ. 2024 წელს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, აკრედიტაცია 54-ით მეტმა მედიაორგანიზაციამ გაიარა.

„მედიახმის“ 2024 წლის მედიაგარემოს კვლევაში აღნიშნულია, რომ არჩევნების პერიოდში მოქალაქე ჟურნალისტებთან თანამშრომლობის პრაქტიკა გამოიკვეთა ყველა რეგიონში და განსაკუთრებით შეავსო პატარა მედიაორგანიზაციებში არსებული ვაკუუმი. მოქალაქე ჟურნალისტების მიერ, რეალურ დროში მიწოდებული ინფორმაცია არა მხოლოდ საზოგადოებას აწვდიდა საჭირო ცნობებს, არამედ მნიშვნელოვანი მტკიცებულებებიც გახდა საარჩევნო შეფასებების პროცესისთვის, რაც გამოკვეთს ე.წ. grassroots მედიის ძალას დემოკრატიის დაცვაში.

პოლიტიკური პოლარიზაციისა და მედიისთვის დაწესებული სამართლებრივი შეზღუდვების ფონზე, მოქალაქებმა დააფიქსირეს ამომრჩეველთა დაშინების, პროცედურული ხარვეზებისა და შესაძლო გაყალბების ფაქტები.

▶ სამართლებრივი კონტექსტი: რა უნდა იცოდეს მოქალაქე ჟურნალისტმა?

ფოტოსა და ვიდეოს გადაღება საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება, რაც მედიის წარმომადგენლებს საარჩევნო უბნებზე 10-წუთიანი გადაღების უფლებით ზღუდავს. კანონმდებლობით აკრძალულია ფოტო ან სხვა ელექტრონული მეთვალყურეობის, გადაღების მოწყობილობების, კამერებისა და მობილური ტელეფონების გამოყენება საარჩევნო უბნებში. ეს ზომა მიზნად ისახავს ამომრჩეველთა კონფიდენციალურობის დაცვასა და ხმის მიცემის პროცესის მთლიანობის უზრუნველყოფას. თეორიულად ეს რეგულაცია მიზანშეწონილია, თუმცა პრაქტიკაში ზღუდავს დამკვირვებლების შესაძლებლობებს, დააფიქსირონ დარღვევები.

არჩევნების დროს ჟურნალისტები ძალადობის სამიზნეები არიან. მედიის თავისუფლების სწრაფი რეაგირების ჯგუფმა (MFRR) დააფიქსირა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული მედიის თავისუფლების 30-ზე მეტი დარღვევა, რომელშიც 34 მედიის წარმომადგენელი იყო ჩართული.

როგორც 2024 წლის საქართველოს არჩევნების გაშუქებამ აჩვენა, ამგვარი grassroot ჟურნალისტიკა ააშკარავებს იმ მოვლენებს, რომლებიც ტრადიციულ მედიას შეიძლება გამორჩეს. ეს შეიძლება იყოს სავარაუდო თაღლითობა ან პროცედურული დარღვევები. შესაბამისად, სამოქალაქო ჟურნალისტიკა ხელს უწყობს უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას. სოციალური მედიის პლატფორმების წყალობით, ეს ინფორმაცია აუდიტორიამდე თითქმის მომენტალურად აღწევს, აძლიერებს სხვადასხვა ხედვის გააზრებას და ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას. ახალი ამბების დემოკრატიზაციის ეს ფორმა მარგინალიზებული და ნაკლებად რეპრეზენტაციული ჯგუფების წარმოჩენისა და მათი ხმის გაგონების შესაძლებლობასაც იძლევა.

არჩევნების გაშუქებაში მოქალაქე ჟურნალისტების წვლილი ფასდაუდებელია, პროფესიონალი ჟურნალისტისგან განსხვავებით, არჩევნების დღეს მოქალაქე ჟურნალისტს მედიის აკრედიტაცია ვერ ექნება, ამიტომ მისი უფლებები და შესაძლებლობები განსხვავებულია და ასახულია ცხრილში N 5.

ცხრილი N 5: საარჩევნო უბანსა და მის გარეთ მუშაობა

მახასიათებელი	მოქალაქე ჟურნალისტი	პროფესიონალი ჟურნალისტი
სტატუსი და რეგულაციები	არ გააჩნია ოფიციალური სტატუსი და არ ექვემდებარება მედიის რეგულაციებს.	მოქმედებს ოფიციალური სტატუსით და ექვემდებარება მედიის რეგულაციებს.
აკრედიტაცია	არ საჭიროებს საარჩევნო კომისიაში აკრედიტაციას; გასაშუქებლად შესაძლოა არ მიეცეს საარჩევნო უბანში შესვლის უფლება.	საჭიროებს საარჩევნო კომისიაში აკრედიტაციას, რაც მას არჩევნების გაშუქების ოფიციალურ უფლებას ანიჭებს.
საარჩევნო უბანში ყოფნის უფლება	არ აქვს საარჩევნო უბანში მუშაობის რეგულარული უფლება და ვერ მიიღებს განსაკუთრებულ სტატუსს.	აკრედიტაციის შემთხვევაში, შეუძლია დაესწროს საარჩევნო კომისიების სხდომებს, დარჩეს საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მთელი დღის განმავლობაში.
ვიდეო და ფოტოგადაღების უფლება	საზოგადოებრივი სივრცეებში გადაღება შეუძლია, თუმცა საარჩევნო უბანში მოქმედებს შეზღუდვები.	არჩევნების დღეს შეუძლია გადაიღოს ფოტო და ვიდეო სპეციალურად განსაზღვრული წესებით, 10-წუთიანი შეზღუდვის გათვალისწინებით. მთელი დღის განმავლობაში შეუძლია გადაღება თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან. კენჭისყრის კაბინის ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია. ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის შენობის გარეთ.

ადგილი, სადაც მუშაობა ყოველგვარი აკრედიტაციის გარეშეა შესაძლებელი და სადაც დარღვევების დიდი წილი მოდის, არის საარჩევნო უბნის გარე პერიმეტრი.

რას უნდა დავაკვირდეთ?

» დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება.

» დაუშვებელია აგრეთვე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.

» დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა.

არჩევნების დღეს ათობით მოქალაქე ჟურნალისტი აქტიურად აშუქებდა არჩევნებს და ისინი ქვეყნის სხვადასხვა საარჩევნო უბანზე დილიდანვე იყვნენ მობილიზებულები. ისინი Meta/Facebook-სა და სხვა პლატფორმების მეშვეობით, ოპერატიულად აზიარებდნენ ამბებს, რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საარჩევნო პროცესის დოკუმენტირებაში. მოქალაქე ჟურნალისტების მიერ დაფიქსირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა გადამწყვეტი იყო საარჩევნო პროცესში თაღლითობის მცდელობებისა და დარღვევების იდენტიფიცირებისა და გამოვლენის საქმეში.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარი და საბოლოო ანგარიშის თანახმად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოში მრავალი დარღვევით ჩიარა, რაც როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა. ძირითადი გამოვლენილი პრობლემები ასახულია მოქალაქე დამკვირვებლებისა და მოქალაქე ჟურნალისტების მიერ გადაღებულ კადრებშიც.

ეს დარღვევები მოიცავდა:

» ამომრჩეველთა დაშინებასა და ზეწოლას, ფიზიკური ძალადობასა და იძულებას: ტელეკომპანია „ფორმულას“ ვიდეო და ონლაინ პლატფორმა „პუბლიკას“ ვიდეო-დაიჯესტი წარმოადგენს დამკვირვებლებისა და მოქალაქე ჟურნალისტების კადრების ნაკრებს, რომლებიც ასახავს ამომრჩეველთა დაშინების შემთხვევებს, როდესაც მმართველი პარტიის აგიტატორები ღიად ახდენენ ამომრჩევლებზე ზეწოლას. დამკვირვებლებმა აღნიშნეს „სიძულვილისა და დაშინების ატმოსფერო“, რაც საარჩევნო პროცესს ძირეულად არყევს. დოკუმენტირებული იყო ფიზიკური ძალადობისა და იძულების შემთხვევებიც, რაც კიდევ უფრო ართულებს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას. ანა წითლანაძემ, რომელიც იმ დროს მოქალაქე ჟურნალისტის როლში იყო, გადაიღო დაპირისპირების კადრები.

» ამომრჩეველთა აღრიცხვას საარჩევნო უბნებზე და შეკრებებს: საარჩევნო უბნის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩეველთა შეკრება ან აღრიცხვა აკრძალულია (საარჩევნო კოდექსი, თავი VI, მუხლი 45). ონლაინ პლატფორმა „პუბლიკას“ ვიდეო-დაიჯესტში თავმოყრილია დამკვირვებლებისა და მოქალაქე ჟურნალისტების გადაღებული ვიდეო-კადრები, რომლებიც ამ დარღვევებს ასახავს. ოპოზიციის წევრმა, ბაქარ შორაძემ ქალაქ ბორჯომში შეითავსა მოქალაქე ჟურნალისტის როლი და სოციალური ქსელების მომხმარებლებს შეატყობინა შესაძლო დარღვევებზე. ტელეკომპანია „მთავარმა“ გააშუქა საარჩევნო დარღვევები და გამოიყენა მოქალაქე ჟურნალისტების მიერ მოპოვებული ინფორმაციაც. მოქალაქე ჟურნალისტები აგრძელებდნენ არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევების გამოქვეყნებას თავიანთი სოციალური მედიის პლატფორმებზე, აზიარებდნენ შეგროვებულ მტკიცებულებებს როგორც არჩევნების დღეს, ისე მის შემდეგ (სამეგრელოში, კახეთში, თბილისში და სხვა რეგიონებში).

» „კარუსელის“ ხმის მიცემისა და მარკირების წესების შესაძლო დარღვევებს: კანონმდებლობის თანახმად, თუ გადამოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ პირი არჩევნებში მონაწილეობდა ან ცდილობდა მონაწილეობას ყალბი ან სხვისი დოკუმენტით, ის დაექვემდებარება პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164(2) მუხლით (საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლი). ამასთან, ამომრჩეველს, რომელმაც გაიარა მარკირების პროცედურა და მიიღო მონაწილეობა ხმის მიცემაში, არ აქვს უფლება, ხელახლა მიიღოს მონაწილეობა იმავე ან სხვა საარჩევნო უბანზე (საარჩევნო კოდექსის 64-ე მუხლი). ონლაინ პლატფორმა „პუბლიკა“-ს ვიდეომასალა აერთიანებს დამკვირვებლებისა და მოქალაქე ჟურნალისტების მიერ გადაღებულ კადრებს, რომლებიც ამ დარღვევებს ასახავს. ერთ-ერთ ვიდეოში დამკვირვებელი არ უშვებს საარჩევნო უბანში პირს, რომელიც ცდილობდა მეორედ ხმის მიცემას. ვიდეო ფართოდ გავრცელდა ტრადიციულ მედიაში. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა მარნეულშიც, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მოქალაქე ჟურნალისტების კრიტიკულ როლს საარჩევნო დარღვევების გამოვლენის პროცესში.

» ხმის მიცემის ფარულობის დარღვევებს: დაფიქსირდა ბიულეტენების ფარულობის დარღვევის შემთხვევები, რამაც დაარღვია ამომრჩეველთა არჩევანის კონფიდენციალურობა და შეშფოთება გამოიწვია. სადამკვირვებლო ორგანიზაციების ინფორმაციით, დარღვევები მოიცავდა მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ მიერ საარჩევნო უბნებზე კამერების განთავსებას, რომელთა ნაწილი ასახავდა ისეთ ადგილებს, როგორიცაა რეგისტრაციის მაგიდები, შემოწმების აპარატები, კენჭისყრის კაბინები, საარჩევნო ყუთი, კენჭისყრის კაბინებთან არსებული შეკრებები. ელექტრონული ხმის მიცემის პროცესში გამოყენებული ბიულეტენები იმდენად თხელი იყო, ამომრჩეველთა არჩევანი უკანა მხრიდანაც კი ჩანდა, განსაკუთრებით მარკერების კვალი, რომლითაც ამომრჩევლები ავსებდნენ პარტიული წრეებს (იხილეთ Formula TV-სა და Publika-ს მიერ გავრცელებული ვიდეოები ტრადიციულ და სოციალურ მედიაში). „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (GYLA) მოითხოვა ყველა (2,263) ელექტრონული უბნის შედეგების გაუქმება ბიულეტენების ფარულობის წესის მასობრივი დარღვევების გამო.

» ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერი გამოყენებისა და ამომრჩევლის მოსყიდვის ბრალდებებს: დაფიქსირდა მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, შესაძლო ხმის მოსყიდვის ფაქტები, რომლებიც მოქალაქე ჟურნალისტებმაც გადაიღეს. ეს მასალები შეჯამებულია ტელეკომპანია „პირველის“ მიერ ჩატარებულ ჟურნალისტურ გამოძიებებში.

! ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი ამ არჩევნების დროს იყო ინციდენტი მარნეულის 69-ე საარჩევნო უბანზე, სადაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, როვშან ისკანდიროვმა, ბიულეტენები ძალადობრივად ჩაყარა საარჩევნო ყუთში. ეს კადრები მოქალაქე დამკვირვებელმა გადაიღო და გააშუქა თითქმის ყველა სატელევიზიო არხმა. გაშუქების შემდეგ აღნიშნული უბნის შედეგები გაბათილდა, დაიწყო გამოძიება და ორი პირი დააკავეს. მოქალაქე ჟურნალისტების ვიდეოები და ფოტოებიინფლუენსერებისა და ბლოგერების მიერაც ფართოდ გავრცელდა.

ეს და სხვა მრავალი მაგალითი აჩვენებს მოქალაქე ჟურნალისტიკის მნიშვნელოვან როლს საარჩევნო პროცესში - განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის კონტექსტში, როდესაც მოკლე და აქტიური ვიდეოები მომხმარებლისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ხდება. მოქალაქე ჟურნალისტიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს გამჭვირვალობის ხელშეწყობასა და დემოკრატიულ მონაწილეობაში.

სტიქიური უბედურებების დროს მოქალაქეები სოციალურ ქსლებში ოპერატიულად აქვეყნებენ ვიდეოებსა და განახლებულ ინფორმაციას შემთხვევის ადგილიდან და/ან ახლო პერიმეტრიდან. ამგვარ აქტივობას შეიძლება საინფორმაციო და უსაფრთხოების ფუნქციაც კი ჰქონდეს.

8. სამოქალაქო ჟურნალისტის გამოწვევები

▶ დეზინფორმაცია და AI

მოქალაქე ჟურნალისტის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დეზინფორმაცია და მასთან დაკავშირებული საფრთხეებია. **მოქალაქე ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალას თან ახლავს ემოციურობა და სუბიექტურობა, რადგან ისინი მოვლენებს მონაწილის/ საკუთარი პერსპექტივიდან აღიქვამენ,** რამაც შეიძლება ინფორმაცია დაამახინჯოს. თუ მისინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს უნებლიე შეცდომის გამო, დეზინფორმაცია - წინასწარგანზრახული „კარგად შეფუთული“ მცდარი ინფორმაციაა, რომელიც სწორედ მომხმარებლის ემოციებზე მოქმედებს.

დეზინფორმაციის სწრაფი გავრცელების რისკებს ზრდის ხელოვნური ინტელექტის (AI) შესაძლებლობები და ახალი ტექნოლოგიებით შექმნილი ვიდეო, აუდიო თუ ფოტომოსალა. ეს ინფორმაციის მანიპულაციის რისკებს შეიცავს და არც პროფესიულ პასუხისმგებლობას აკისრებს ავტორს გავრცელებისთვის. ამავე კონტექსტში გასათვალიწინებელია ინტერნეტის ალგორითმის ზეგავლენა. სოციალური ქსელების ალგორითმები ხშირად ხელს უწყობს დეზინფორმაციის გავრცელებას, რადგან ემოციური და სკანდალური ინფორმაცია უფრო მეტ ჩართულობას იწვევს. მნიშვნელოვანია ინფორმაციული, მედია და ციფრული წიგნიერების ამაღლება ფართო საზოგადოებაში, რაც კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს.

▶ საომარი მოქმედებები და ინფორმაციული უსაფრთხოება

შეიარაღებული კონფლიქტის ზონებში მომუშავე პროფესიონალი და მოქალაქე ჟურნალისტები საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობენ საზოგადოების ინფორმირებას.

მედიამ და მოქალაქე ჟურნალისტებმა გამოხატვის თავისუფლების უფლება პასუხისმგებლობით უნდა გამოიყენოს, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გააშუქოს შეიარაღებული კონფლიქტები, აუდიტორიას უნდა მიაწოდოს ზუსტი და სარწმუნო ინფორმაცია. საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) თავის მე-20 მუხლში ადგენს, რომ: 1) ომის ნებისმიერი პროპაგანდა აკრძალულია კანონით და 2) ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ნებისმიერი ადვოკატირება, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობისა ან ძალადობის წაქეზებას, კანონით იკრძალება.

საომარ ვითარებაში სამოქალაქო ჟურნალისტიკა კოლექტიურ და სამოქალაქო მეხსიერებასაც ქმნის. რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან, დაურედაქტირებლად იქმნებოდა სამოქალაქო ჟურნალისტიკის არქივი ომიდან, რომელშიც სინამდვილე შეულამაზებელი იყო, კადრები კი - „დაუბლარავი“.

საომარ და კონფლიქტურ სიტუაციებში განსაკუთრებით იზრდება მოქალაქე ჟურნალისტების როლი და ჩართულობა. მოქალაქემ შეიძლება სპონტანურად შეასრულოს ჟურნალისტის როლი კრიტიკულ სიტუაციაში. თუმცა არსებობს დიდი საფრთხეც. გარდა იმისა, რომ მოქალაქე ჟურნალისტი საომარი ვითარების გაშუქებისას შეიძლება გახდეს მსხვერპლი ან სამიზნე, მან შეიძლება უნებლიეთ გადაიღოს, გააჟღეროს ან გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რომლითაც მტერს მისცემს უპირატესობას. ინფორმაციის მიცემა, ფოტო ან ვიდეო მასალების მნიშვნელოვანი ლოკაციიდან გადაღება - ნებისმიერი სახის ახალი ინფორმაცია მტრის ხელში უკვე მისი უპირატესობაა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რეალურ დროში, განსაკუთრებით საომარი ვითარების ცხელი წერტილებიდან ვიდეობის ჩაწერისაგან თავი შეიკავონ მოქალაქე ჟურნალისტებმა.

რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას ძალიან პოპულარული გახდა მესენჯერ აპლიკაცია ტელეგრამი. სწორედ ტელეგრამის დახურულ ჯგუფებში იგზავნებოდა ხშირი ინფორმაცია უკრაინის მოქალაქეებისთვის. თუმცა დახურული ჯგუფის კონტროლი და ჯგუფში გაწევრიანებული ხალხის იდენტიფიცირება ძალიან რთული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამის ზუსტი მტკიცებულებები არ არსებობს, იყო შემთხვევები, როცა მოქალაქეების მიერ გადაღებული ვიდეოს შემდეგ სწორედ ნაჩვენები ლოკაცია დაიბომბა. ამის მაგალითია:

- დნიპროში ცხრასართულიანი შენობის დაბომბვა 2023 წელს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოქალაქეების ვიდეოებმა გამოიწვია ეს კონკრეტული თავდასხმა, ინციდენტი ხაზს უსვამს ოპერაციული უსაფრთხოების მნიშვნელობას და იმ რისკებს, რომლებიც რეალურ დროში ინფორმაციის გაზიარებას უკავშირდება კონფლიქტების დროს.

- სარაკეტო იერიშები ხარკოვში. ომის მიმდინარეობისას ხარკოვი არაერთხელ გახდა რუსული რაკეტების იერიშის მიზანი. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოქალაქეების მიერ გადაღებულმა ვიდეობმა რუსულ სპეც.სამსახურებს ზუსტი ლოკაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამის უტყუარი მტკიცებულებები არ არსებობს, ესეც მსგავსი მაგალითია, რატომ უნდა შეიკავონ მოქალაქეებმა და მედიის წარმომადგენლებმა ლოკაციის გადაღებისაგან თავი კონფლიქტის მიმდინარეობისას.

- მარიუპოლის ალყა. მარიუპოლის ალყის დროს, მოქალაქეები განადგურებული ქალაქის კადრებს სოციალურ ქსელებში ტვირთავდნენ, რაც შეფასდა საფრთხის ზრდად, რადგან ეს კადრები უფრო მეტ ინფორმაციას აძლევდა მტერს ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის შესაფასებლად.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსობობს უტყუარი მტკიცებულებები იმისა, რომ სწორედ მოქალაქეების მიერ გადაღებული ვიდეოების შემდეგ მოხდა კონკრეტული ლოკაციების დაბომბა, დაუშვებელია სტრატეგიული ობიექტების, სამხედრო პირების თუ სხვა მნიშვნელოვანი მომენტების ლაივ/რეალურ რეჟიმში გაშვება, ჩვენ არ ვიცით, ეკრანს მიღმა ვინ და რა მიზნით უყურებს მასალას.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფუნდამენტური წესის თანახმად, აკრძალულია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, შეიარაღებულ კონფლიქტურ ზონაში მყოფი მედიაპროფესიონალების წინააღმდეგ მიმართული განზრახ თავდასხმები, მიზანმიმართული აგრესია, ძალადობა, დაშინება, შეურაცხყოფა, მძევლად აყვანა და სხვა უკანონო ქმედებები. ამ დებულებების უმრავლესობის დარღვევა ომის დანაშაულია.

მედიის პროფესიონალები მშვიდობიანი მოქალაქეები არიან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL) მიხედვით და, შესაბამისად, სამხედრო კონფლიქტში - დაცულნი, როგორც მშვიდობიანი მოქალაქეები. გააჩნიათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში სამოქალაქო პირებისთვის მინიჭებული სრული დაცვის გარანტიები.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი განასხვავებს კონფლიქტის ზონებში მომუშავე ჟურნალისტების ორ კატეგორიას: შეიარაღებულ ძალებში აკრედიტებული ომის კორესპონდენტები და სამოქალაქო სტატუსის მქონე ჟურნალისტები (უფრო მეტი იხილეთ ბმულზე).

ვინ ითვლება „მედიის პროფესიონალად“?

IHL-ის კატეგორიების მიხედვით, მედიაპროფესიონალი შეიძლება იყოს ჟურნალისტი და ომის კორესპონდენტი. თავად მედიაპროფესიონალი კი არის:

» ნებისმიერი პირი, რომელიც იკვლევს, იძიებს, აგროვებს და/ან ავრცელებს ახალ ამბებსა და ინფორმაციას შეიარაღებული კონფლიქტიდან, მისი მოქალაქეობის, აკრედიტაციისა თუ მედია პლატფორმის განურჩევლად.

» ინფორმაციას ავრცელებს ნებისმიერი საშუალებითა და სახით, მათ შორის: კინოსა და ფოტოგრაფიის, ტელევიზიისა და რადიოს, ბეჭდური მედიის, ციფრული პლატფორმების (მათ შორის ბლოგების) საშუალებით.

მეტი უსაფრთხოებისთვის ომის ეპიცენტრში მყოფ ჟურნალისტებს აქვთ სპეციალური სტატუსი. იმისათვის, რომ ჟურნალისტმა სპეციალური სტატუსით ისარგებლოს, მას უნდა ჰქონდეს ჟენევის III კონვენციით გათვალისწინებული ნიმუშის მიხედვით შედგენილი პირადობის მოწმობა. აღნიშნული მოწმობა უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ, რომლის მოქალაქეცაა ჟურნალისტი ან რომლის ტერიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობს, ან რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მისი დამსაქმებელი საინფორმაციო სააგენტო, რაც ადასტურებს ჟურნალისტის სტატუსს.

შეიარაღებულ კონფლიქტში მედია პასუხისმგებელია, დაიცვას IHL-ის წესები. მედია პროფესიონალები პირდაპირ პასუხისმგებელნი არიან საერთაშორისო სამართლის მიხედვით ნებისმიერ საერთაშორისო დანაშაულზე, რომელსაც ისინი ჩაიდენენ. მედია პროფესიონალებს აქვთ პასუხისმგებლობა IHL-ის ფარგლებში შეიარაღებული კონფლიქტის დროს ინფორმაციის შეგროვებისას, შეიარაღებული კონფლიქტის მასალების გამოქვეყნების ან გადაცემისას.

▶ მოქალაქე ჟურნალისტის უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა

მოქალაქე ჟურნალისტებისთვის მონაცემთა დაცვა (Data Protection) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ისინი ხშირად ავრცელებენ ფოტო, ვიდეო და აუდიომასალებს, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს პიროვნების პირად მონაცემებს.

მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების პროცესში მოქალაქე ჟურნალისტებმა დაიცვან კონფიდენციალურობის სტანდარტები და დაეყრდნონ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას.

აუცილებელია, დაცული იყოს ბალანსი საჯარო ინტერესსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებები (ECHR, Krone Verlag GmbH & Co. KG v. Austria)[10]. ფარული ჩანაწერების გამოყენება კანონის ფარგლებში[11] მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ ის ემსახურება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს და არ არღვევს ინდივიდების კონფიდენციალურობას.

ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა და გავრცელება კრიტიკული ასპექტია. მოქალაქე ჟურნალისტებმა უნდა გამოიყენონ უსაფრთხო ღრუბლოვანი სერვისები (Cloud Services) და დაშიფრული საცავები, რათა თავიდან აიცილონ მონაცემთა გაჟონვა ან მათი არასანქცირებული გამოყენება. პერსონალური მონაცემების გაშვებისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა: მინიმუმამდე უნდა შემცირდეს ისეთი მონაცემების გამოქვეყნება, რომელიც პიროვნების ლოკაციას ან უსაფრთხოებას შეუქმნის საფრთხეს. უსაფრთხოების დამატებითი ზომების მისაღებად რეკომენდებულია მტკიცე პაროლების გამოყენება და მონაცემთა დაშიფვრა, რათა ინფორმაცია არასანქცირებული წვდომისგან დარჩეს დაცული.

▶ პირდაპირ ეთერში გასვლის რისკები და ბენეფიტები

პირდაპირ ეთერში გასვლა მნიშვნელოვანია ინფორმაციის სწრაფი გავრცელებისა და გამჭვირვალობისთვის, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს სრულ დაცულობას: **მოქალაქე ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოების გეგმა და წინასწარ გათვლილი სტრატეგია, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ რისკები**.

კრიზისების დროს მობილური ტელეფონით პირდაპირი ეთერის ჩართვამ შესაძლოა რიგ შემთხვევებში მოქალაქე ჟურნალისტის უსაფრთხოება გაზარდოს. ამ დროს ფაქტების დოკუმენტირება ხდება, იზრდება საზოგადოებრივი წნეხი და ჩართულობა და იქმნება ე.წ. ციფრული დამცავი ფარი, რაც რეპრესიულ ზომებს გარკვეულწილად ასუსტებს. ვინაიდან ამგვარი მაუწყებლობა დაუმონტაჟებელია და ქმნის დასწრების ეფექტს, ის სანდო მტკიცებულება მიიჩნევა.

ამგვარ მაუწყებლობას აქვს რისკებიც: მოქალაქე ჟურნალისტი არა მხოლოდ თავისი აუდიტორიის, არამედ მტრულად განწყობილი ჯგუფების მხრიდანაც იპყრობს ყურადღებას, რაც საფრთხეს ზრდის. ამასთან, ხდება ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება, რაც შეიძლება გამოყენებული იყოს მოქალაქე ჟურნალისტის ან სხვათა მოსაძებნად ან დასაშინებლად. პირდაპირმა ჩართვამ შესაძლოა დაცულობის ილუზია შექმნას, თუმცა ავტორიტარულ რეჟიმებთან ბრძოლისას გასათვალიწინებელია, რომ მოძალადეები კანონთან მიმართებით თავს არ შეიკავებენ.

---

[10] EVHR, Krone Verlag GmbH & Co. KG v. Austria, 2012, ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-111526%22]}

[11] იხ. საქართველოს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონი, ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო ნაცნის ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=33 (ბოლო ნახვა: 01.02.2025)

▶ რა უნდა ვიცოდეთ LIVE-ში გასვლისას ან ვიდეოს ჩაწერისას?

» ახსენეთ, სად და რატომ იმყოფებით;

» აღწერეთ, რა მოხდა და რას უნდა მიაქციოს ყურადღება მაყურებელმა ვიდეოში;

» აღწერეთ თქვენ მიერ ნანახი უკანონობის ფაქტი დარღვევისა და სავარაუდო დამნაშავის შესახებ;

» ხანგრძლივი ჩართვისას ყოველ 2-3 წუთში LIVE-ის ახალი მაყურებლისთვის გაიმეორეთ მომხდარი ფაქტის შესახებ უკვე ნათქვამი ინფორმაცია;

» დაასათაურეთ ვიდეო/LIVE: შეგიძლიათ უბრალოდ დაწეროთ, რას ეხება თემა.

▶ ტროლები და ბოტები: რა უნდა გაითვალისწინოს მოქალაქე ჟურნალისტმა?

დღეს სოციალური ქსელების მთავარ გამოწვევად ტროლების „ფერმები“, ტროლ-ბოტები და პროპაგანდის შეუზღუდავი გავრცელება მიიჩნევა. მომხმარებლებისათვის რთულია იმის გარკვევა, ვინ დგას სოციალური ქსელის ანგარიშის უკან - ტროლი თუ რეალური ადამიანი. ეს გამოწვევა განსაკუთრებით აქტუალურია მოქალაქე ჟურნალისტებისთვის. იმის გამო, რომ მათ მიერ გავრცელებული მასალა შესაძლოა კონკრეტული პირებისათვის/ ჯგუფებისთვის უსიამოვნო იყოს, სწორედ მოქალაქე ჟურნალისტები შეიძლება გახდნენ ტროლების თავდასხმის ობიექტები.

ტროლების კოორდინებული თავდასხმა შესაძლოა მოიცავდეს პოსტებზე შეურაცხმყოფელი კომენტარებისა და პირადი შეტყობინებების გაგზავნას; ე.წ. „დაჰაჰავებას“. ყველაფერი ეს შეიძლება კოორდინებული იყოს და მიზნად ისახავდეს მოქალაქე ჟურნალისტზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

მოქალაქე ჟურნალისტები ვერ სარგებლობენ დაცვის იმ მექანიზმებით, რაც აქვთ პროფესიონალ ჟურნალისტებს. ამიტომ მედიაორგანიზაციებთან თანამშრომლობა დამატებითი მხარდამჭერი რესურსია მათთვის.

9. ადვოკატირება და ინკლუზიურობა

სამოქალაქო ჟურნალისტიკა ხელს უწყობს ისეთი ჯგუფებისა და თემების აქტუალიზაციას, რომლებიც ტრადიციული და მეინსტრიმული მედიის დღის წესრიგში ნაკლებად ხვდება. მას შეუძლია კულტივაციის ეფექტი შექმნას და სტერეოტიპების შეცვლაში თავისი როლი შეასრულოს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე პოლიტიკურ ჩართულობას და ინკლუზიურობას ეხება.

სამოქალაქო ჟურნალისტიკას შეუძლია წაახალისოს სამოქალაქო აქტივიზმი, ქალთა და გოგონათა პრობლემები და თემატიკა აქტიალური გახადოს როგორც არჩევნების, ისე პოლიტიკური კრიზისებისა თუ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა თემების (განათლება, ეკონომიკა, დასაქმება და სხვ.) კონტექსტში. სამოქალაქო ჟურნალისტიკა მარგინალიზებულ და მოწყვლად ჯგუფებს აძლიერებს და მათ საშუალებას აძლევს, უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოაჩინონ საკუთარი პრობლემები. განსაკუთრებით კრიტიკულია სამოქალაქო ჟურნალისტიკის როლი გენდერული სტერეოტიპების დაძლევაში და იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების გაშუქებაში, რომლებიც გავლენას ახდენს ქალებზე, ეთნიკურ უმცირესობებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.

ტექნოლოგიური პროგრესისა და სოციალური მედიის დახმარებით, ქალები და მარგინალიზებული ჯგუფები უფრო მეტად ჩაერთნენ საზოგადოებრივ დისკუსიებში. სამოქალაქო ჟურნალისტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქალთა მიმართ ძალადობის, პოლიტიკური დისკრიმინაციისა და ეკონომიკური უთანასწორობის საკითხების გაშუქებაში. სამოქალაქო ჟურნალისტიკა ამსხვრევს გავრცელებულ სტერეოტიპებს ქალების როლზე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში. ის აჩვენებს ქალებს, როგორც აქტიურ მოთამაშეებს სხვადასხვა სფეროში – პოლიტიკაში, ეკონომიკასა თუ სოციალური აქტივიზმში.

მაგალითად, საქართველოში საპროტესტო დემონსტრაციებისას ქალთა ჩართულობა გამოკვეთილია როგორც სოციალურ ქსელებში, ისემეინსტრიმულ მედიაში. გამოწვევად რჩება გენდერული დეზინფორმაცია, ანუ მიზანმიმართული ყალბი ინფორმაცია, რომელიც იყენებს გენდერულ ნარატივებს ქალთა დისკრედიტაციისთვის. ეს განსაკუთრებით აქტუალურია არჩევნების, პოლიტიკური კრიზისებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების დროს. მოქალაქე ჟურნალისტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ამ ტიპის დეზინფორმაციის გამოვლენაში.

გარდა პრობლემების გაშუქებისა, სამოქალაქო ჟურნალისტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქტივიზმის წახალისებაში. სამოქალაქო ჟურნალისტებს შეუძლიათ გააშუქონ ქალთა მონაწილეობა არჩევნებში და პოლიტიკური ბარიერები, რომლებიც მათ წინაშე დგას; მხარი დაუჭირონ ინკლუზიურობას და თანასწორობას მედიასა და საზოგადოებაში.

გენდერული საკითხების გაშუქებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოლიდარობის ჟურნალისტიკის პრინციპების დაცვა. სამოქალაქო ჟურნალისტებს შეუძლიათ შექმნან ისეთი კონტენტი, რომელიც არა მხოლოდ ინფორმაციულია, არამედ მხარდაჭერისა და ემპათიის გზავნილს შეიცავს.

მაგალითად, **„რადიო თავისუფლების“** ვებგვერდზე არსებული რუბრიკა **„მომიყევი“** ფოკუსირებულია ქალთა მიმართ ძალადობის ისტორიებზე. ეს ხელს უწყობს როგორც საზოგადოების ინფორმირებას, ისე მსხვერპლების გაძლიერებას. მსგავსი ფორმატი შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვა პლატფორმებზეც, რათა გაძლიერდეს გენდერულად მგრძნობიარე თემების გაშუქება.

სამოქალაქო ჟურნალისტიკის გაძლიერება ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და ინკლუზიურობას. ის ქმნის ალტერნატიულ სივრცეს, სადაც ქალებსა და მარგინალიზებულ ჯგუფებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების გაჟღერება და აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ დისკუსიებში. საქართველოში, სადაც ქალთა პოლიტიკური ჩართულობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება, სამოქალაქო ჟურნალისტიკას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს არსებული ბარიერების დაძლევაში.

თუ თქვენ გსურთ ჩაერთოთ ადვოკატირებაში გაითვალისწინეთ:

- შეარჩიეთ თემები, რომლებიც გაღელვებთ, გაინტერესებთ და დაუკავშირეთ პრობლემებს, რომლებიც აქტუალურია საზოგადოებისთვის;
- შეარჩიეთ თემები, რომლითაც ნაკლებად ინტერესდება ან რომლის გასაშუქებლად საკმარისი რესურსი არ აქვს ტრადიციულ მედიას;

10. როგორ გავხდეთ მოქალაქე ჟურნალისტი?

თქვენ შესაძლოა აღმოჩნდეთ ისეთ სიტუაციაში, როცა გახდებით ე.წ. შემთხვევითი მოქალაქე ჟურნალისტი, ან ერთჯერადი კონტრიბუტორი (one-off contributor). როგორც როდრიგესი (2014, გვ. 205) ამბობს, ესაა ადამიანი „სწორ ადგილას, სწორ დროს“. კარგმა მოქალაქემ შეიძლება კარგი ჟურნალისტური პროდუქტის შექმნაში მიიღოს მონაწილეობა. აი, რა შეგიძლიათ გაითვალიწინოთ:

12 ოქროს წესი მოქალაქე ჟურნალისტისთვის!	
1	**შეაფასეთ, არის თუ არა ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებისთვის მართლაც საჭირო და ღირებული;**
2	**მნიშვნელოვანია თვითკონტროლი: თავი აარიდეთ ემოციური განცხადებებისა ან დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას;**
3	**გადაიღეთ ვიდეო ან ფოტო ისე, რომ მკვეთრად არ ამოძრაოთ კამერა;**
4	**დააკვირდით და აღწერეთ მოვლენა და/ან ჩაინიშნეთ ფაქტები, დრო და ადგილმდებარეობა, მონაწილეები, კონტექსტი; შეეცადეთ, გაესაუბროთ თვითმხილველებს და დააზუსტოთ, გადაამოწმოთ ფაქტები;**
5	**დაამატეთ მოკლე აღწერა, რომელიც აუდიტორიას კონტექსტს გააგებინებს;**
6	**შეარჩიეთ აუდიტორია და რელევანტური პლატფორმა;**
7	**გამოიყენეთ ჰეშტეგები და მონიშნეთ შესაბამისი ორგანიზაციები ან მედიასაშუალებები;**
8	**გამოქვეყნების შემდეგ დააკვირდით გამოხმაურებას**
9	**დაიცავით ეთიკური სტანდარტები და დაიცავით „არ ავნო“ პრინციპი: არ გაავრცელოთ არასწორი ან სენსიტიური ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს სხვებს;**
10	**არ გააზიაროთ ინფორმაცია, რომელიც დაუზუსტებელია და შეიცავს დისკრიმინაციულ, სიძულვილის ან პერსონალური ინფორმაციის შესახებ დეტალებს;**
11	**დაიცავით საკუთარი ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოება: ნუ შეეცდებით შესვლას ისეთ ადგილებში, სადაც თქვენი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს;**
12	**ითანამშრომლეთ სანდო მედიაორგანიზაციებთან და პროფესიონალ ჟურნალისტებთან.**

სასარგებლო რესურსები

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება აპლიკაციები და პლატფორმები, რომლებიც მოქალაქე ჟურნალისტს ეხმარება ინფორმაციის მოპოვებაში, დოკუმენტირებაში, რედაქტირებასა და გამოქვეყნებაში. 2025 წლისთვის ესენია:

» **CitizenEye** არის მოწინავე მობილური აპლიკაცია, რომელიც სპეციალურად შექმნილია მოქალაქე ჟურნალისტებისთვის, რათა მათ სწრაფად და ეფექტურად შეაგროვონ, გადაამუშაონ და გაავრცელონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აპლიკაცია აერთიანებს ვიდეოგადაღების, ფოტოგრაფიის, აუდიოჩანაწერის, რედაქტირებისა და პირდაპირი ეთერის (Live Streaming) ფუნქციებს; საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, გააზიარონ მასალა უშუალოდ სოციალურ ქსელებში ან მედიასაშუალებებთან.

» **KineMaster** არის მობილური აპლიკაცია და ხელმისაწვდომია როგორც iOS-ის, ისე Android-ის მომხმარებლებისთვის. დახვეწილ, მრავალფეროვან აპლიკაციას აქვს მონტაჟისა და რედაქტირების ფუნქცია;

» **Splice** არის უფასო აპლიკაცია GoPro-ს შემქმნელებისგან iOS-ის მომხმარებლებისთვის. ამ აპლიკაციას ბევრი ფუნქცია აქვს: შესაძლებელია ვიდეომასალის დამუშავება, ეფექტებისა და ტიტრების დადება, დასათაურება და მუსიკით გაფორმება და სხვ.

» **Adobe Premiere Clip** გამოყენება შესაძლებელია როგორც კომპიუტერულ ვერსიასთან ერთობლიობაში, ისე ცალკე, ვიდეოების მობილურშივე დასამონტაჟებლად. აპლიკაციას აქვს ავტომატურად მუშაობის ფუნქცია იმ შემთხვევისთვის, თუ დრო არ გაქვთ ან მონტაჟი არ გეხერხებათ. დახვეწილია პროფესიონალებისთვისაც, უფასოა და ხელმისაწვდომი iOS-ისა და Android-ის მომხმარებლებისთვის.

» **Life360** არის ლოკაციის გაზიარებისა და უსაფრთხოების აპლიკაცია, რომელიც შექმნილია ოჯახის წევრების და ჯგუფების კოორდინაციისთვის. იგი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, რეალურ დროში დააკვირდნენ საკუთარი ჯგუფის წევრების მდებარეობას, შეატყობინონ საფრთხის შესახებ და მიიღონ შეტყობინებები გადაადგილებაზე.

სამოქალაქო ჟურნალისტებს ხშირად უწევთ მუშაობა კრიზისულ და საფრთხის შემცველ გარემოში. Life360 მათ საშუალებას აძლევს, გააზიარონ თავიანთი ლოკაცია ნდობით აღჭურვილ პირებთან, რაც ზრდის უსაფრთხოებას. თუ მოქალაქე ჟურნალისტები ჯგუფურად მუშაობენ, აპლიკაცია ეხმარება მათ გადაადგილების კოორდინირებაში და ერთმანეთთან კავშირის სწრაფად დამყარებაში. გადაუდებელი სიტუაციების შემთხვევაში, Life360-ის SOS ფუნქცია ავტომატურად აცნობებს მითითებულ კონტაქტებს და გამოძახების სერვისებს. აპლიკაცია ინახავს გადაადგილების ისტორიას, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ჟურნალისტური მასალის დოკუმენტირებისთვის.

» **PimEyes** არის ხელოვნური ინტელექტის (AI) მიერ სახის ამოცნობის სისტემა, რომელიც ინტერნეტში არსებულ სურათებს ეძებს და აანალიზებს. იგი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, ატვირთონ ფოტოსურათი და აღმოაჩინონ მისი სხვა ვერსიები სხვადასხვა ვებსაიტეზე. PimEyes ეხმარება მოქალაქე ჟურნალისტებს, სხვადასხვა წყაროში იპოვონ კონკრეტული პირების ფოტოსურათები , გადაამოწმონ, ხომ არ არის ფოტო მანიპულირებული ან გამოყენებული სხვა კონტექსტში. მოქალაქე ჟურნალისტებმა შეიძლება გამოიყენონ აპლიკაცია იმ პირების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც საჯარო სივრცეში კრიტიკულ მოვლენებში მონაწილეობენ. საგულისხმოა ისიც, რომ PimEyes-ის გამოყენებისას დაცული უნდა იყოს მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის ეთიკური სტანდარტები.

ამ და სხვა აპლიკაციების გამოყენებისას საჭიროა ეთიკური სტანდარტებისა და მონაცემთა დაცვის პრინციპების გათვალისწინება.

რეკომენდაციები

მედიაორგანიზაციებისთვის:

- სასურველია, მედიაორგანიზაციებმა ითანამშრომლონ მოქალაქე ჟურნალისტებთან და აქტივისტებთან, რათა ხელი შეუწყონ ინფორმაციის გაცვლას და აკურატულ გაშუქებას;
- მნიშვნელოვანია პროფესიონალ და მოქალაქე ჟურნალისტებს შორის თანამშრომლობის ქსელის შექმნა და გაძლიერება, მოქალაქე ჟურნალისტების გადამზადება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება;
- მნიშვნელოვანია ეთიკური სტანდარტების განმტკიცებაზე ერთობლივად მუშაობა. მედიასაშუალებები უნდა დაეხმარონ მოქალაქე ჟურნალისტებს ინფორმაციის გადამოწმებასა და მასალის ეთიკურად მომზადებაში.

მოქალაქე ჟურნალისტებისთვის და აქტივისტებისთვის:

- სასურველია, მოქალაქე ჟურნალისტებმა ითანამშრომლონ მედიაორგანიზაციებთან, რათა მათი მასალა უფრო ფართოდ გავრცელდეს, იყოს გადამოწმებული და სანდო;
- აუცილებელია, მოქალაქე ჟურნალისტმა იცოდეს ძირითადი ეთიკური სტანდარტები, რაც უზრუნველყოფს სანდო და ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას;
- კრიზისების გაშუქების დროს მნიშვნელოვანია ადგილმდებარეობის ფრთხილად შერჩევა: პირდაპირი ჩართვის დაწყებამდე მოქალაქე უნდა დარწმუნდეს, რომ არის ისეთ ადგილას, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში სწრაფად გასვლას შეძლებს;
- სასურველია, მოქალაქემ ჩართვამდე გააფრთხილოს და აცნობოს აუდიტორიას, რა არის LIVE-ის მიზანი, რომ მათ ჰქონდეთ მეტი მოტივაცია, გადააზიარონ და გაავრცელონ ინფორმაცია;
- სასურველია პირდაპირი ჩართვისას მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა და ისეთი პლატფორმების გამოყენება, რომლებიც ავტომატურად ინახავენ ვიდეომასალას (მაგალითად, Facebook, Instagram, YouTube). ეს მნიშვნელოვნად ამცირებს მასალის დაკარგვის რისკებს.;
- სასურველია, მოქალაქე ჟურნალისტები სოციალურ ქსელებში მონიშვნისა და პირადი ინფორმაციის გაზიარებისას მოერიდონ ადამიანების იდენტიფიცირებას მათი ნებართვის გარეშე და დაიცვან პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება;
- სასურველია, მოქალაქე ჟურნალისტებმა კრიზისების გაშუქებისას იმუშაონ ჯგუფურად, რათა შესაძლებელი იყოს სიტუაციის მონიტორინგი და სწრაფი რეაგირება;
- სასურველია, მოქალაქე ჟურნალისტებმა გაიარონ კონსულტაცია იურისტებთან, რათა იცოდენ თავისი უფლებები.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამკვირვებლებისთვის:

- სასურველია ინფორმაციული, მედია და ციფრული წიგნიერების ამაღლებაზე მუშაობა;
- სასურველია ინფორმაციის ოპერატიულად მიმოცვლისთვის მოქალაქე ჟურნალისტებთან კოორდინაციის გაძლიერება;
- სასურველია არჩევნებზე დამკვირვებლების გადამზადება სამოქალაქო ჟურნალისტიკაში.

ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის:

- მნიშვნელოვანია სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობაში გაითვალისწინებული იყოს მედიის ეკოსისტემის ახალი სტრუქტურა და მოქალაქე ჟურნალისტების როლი ფორმალურად იქნას აღიარებული;
- სასურველია სპეციალური მექანიზმების შემუშავება, რომელიც მოქალაქე ჟურნალისტებსაც მისცემს წყაროს დაცვის უფლებას, განსაკუთრებით საჯარო ინტერესის მქონე მასალების მომზადებისას.

დასკვნა

სამოქალაქო ჟურნალისტიკა საინფორმაციო ეკოსისტემის ნაწილი გახდა და აქვს რესურსი, გააძლიეროს დემოკრატიული მედეგობა. მოქალაქეები, ტექნოლოგიური პროგრესისა და სოციალური მედიის მეშვეობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფორმაციის შექმნასა და გავრცელებაში, განსაკუთრებით არჩევნების, პოლიტიკური კრიზისებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების დროს. მოქალაქე ჟურნალისტები ინფორმაციის მიმოქცევის დეცენტრალიზებას უწყობენ ხელს.

საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოქალაქე ჟურნალისტების ოპერატიულობა დაეხმარა ტრადიციულ და ონლაინ მედიას ისეთი მოვლენების გაშუქებაში, რომლებიც შესაძლოა ყურადღების მიღმა დარჩენილიყო. მათ მიერ გადაღებული ვიდეოები და ფოტოები ემსახურებოდა არა მხოლოდ აუდიტორიის ინფორმირებას, არამედ მტკიცებულებებად გამოიყენებოდა საარჩევნო დარღვევებისა და ხარვეზების გამოვლენის პროცესში.

სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარების პარალელურად იზრდება გამოწვევებიც: დეზინფორმაციის გავრცელების საფრთხე, მონაცემთა დაცვის საკითხები, მოქალაქე ჟურნალისტების უსაფრთხოება და ეთიკური სტანდარტების დაცვა უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ინფორმაციული, მედია და ციფრული წიგნიერების განვითარება.

სამოქალაქო ჟურნალისტიკის პოპულარიზაცია და გაძლიერება არა მხოლოდ მედიაგარემოს დემოკრატიზაციას უწყობს ხელს, არამედ ქმნის სივრცეს სოლიდარული ჟურნალისტიკის განვითარებისთვის, სადაც განსხვავებული და მარგინალიზებული ჯგუფების ხმა შეიძლება გაჟღერდეს. სოლიდარობისა და მხარდაჭერის ატმოსფეროს გაძლიერებით ეს მიმართულება სოციალური სამართლიანობისა და პოლიტიკური ცვლილებების კატალიზატორიც არის.

უდავოა, კარგი მოქალაქისა და კარგი ჟურნალისტიკის ტანდემი დემოკრატიას აძლიერებს. ამ მხრივ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მოქალაქე ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლება და ტრადიციულ მედიასთან თანამშრომლობის გაძლიერება, რაც გააძლიერებს ნდობას სააზოგადოებასა და მედიას შორის და საბოლოოდ მედიაგარემოს გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს.

გამოყენებული რესურსები

- Allan, S. (2007). Citizen journalism and the rise of 'mass self-communication': Reporting the London bombings. *Global Media Journal: Australian Edition*, 1(1), 1–20. (last seen: 01.11.2024)
- Allan, S. (2017). Citizen witnessing of human rights abuses. In H. Tumber & S. Waisbord (Eds.), *The Routledge Companion to Media and Human Rights* (pp. 347–356). Routledge. (last seen: 01.11.2024)
- American Civil Liberties Union (ACLU). (n.d.). *Glik v. Cunniffe*. from https://www.aclum.org/en/cases/glik-v-cunniffe (last seen: 01.11.2024)
- Atton, Chris. 2003. What is "alternative journalism"? Journalism: Theory, Practice and Criticism 4, no. 3: 267-400. (last seen: 01.11.2024)
- Associated Press. (2023, January 15). *Russian missiles and drones strike Kharkiv and other Ukrainian cities*. AP News. https://apnews.com/article/russia-ukraine-war-missiles-drones-kharkiv-73339b748611c8bdec3322ebf0b55693 (last seen: 03.11.2024)
- Balguy-Gallois A., 2004. Protection of Media Professionals in Armed Conflicts, Available at: https://www.icrc.org/en/doc/assets/files/other/irrc_853_gallois.pdf (Last accessed: 05.12.2024).
- BBC News. (2015, June 3). Georgia flood: Tbilisi residents warned over zoo animals after devastating flood https://www.bbc.com/news/world-europe-33125879 (last seen: 01.11.2025)
- Britannica. (n.d.). Citizen journalism, In Encyclopedia Britannica. Retrieved: 03.11.2024, available at: https://www.britannica.com/topic/citizen-journalism (last seen: 03.11.2024)
- British Red Cross. (2017). *Media Professionals and Armed Conflict: Protection and Responsibilities under International Humanitarian Law.* Textbook. Available at: https://www.biicl.org/projects/media-professionals-and-international-humanitarian-law (Last accessed: 03.12.2024).
- CNN. (2023, January 15). *Russian missile strike in Dnipro, Ukraine, kills at least 40 people*. CNN. Available at: https://edition.cnn.com/2023/01/15/europe/dnipro-ukraine-war-russian-missile-strike-intl/index.html (last seen: 02.11.2024)
- Council of Europe. (2018, June 14). *Factsheet on whistleblowers*. Retrieved February 4, 2025, from https://rm.coe.int/factsheet-on-whistleblowers-14june2018/16808b3531 (last seen: 20.01.2025)
- Dictionary.ge. (n.d.). *Whistle-blower*. Retrieved February 4, 2025, from https://dictionary.ge/ka/word/whistle-blower/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR2zdIcX42s2MzxnJR8HxMxyRDMc3ux-GHwCPyLVF3XEtTHkwj5Wc9lFz6s_aem_PTfxaY4HWgNBYyV24rn8VQ (last seen: 04.11.2024)
- European Court of Human Rights. *Contributions to public debate: Journalists and other actors*. European Court of Human Rights. Available at: https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/contributions-to-public-debate-journalists-and-other-actors (last seen: 03.11.2024)

- ECHR, Case of Magyar Helsinki Bozottsag v. Hungary (2016). European Court of Human Rights. Available at: https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-167828%22]} (last seen: 03.11.2024)
- ECHR, Case of Oberschlick v. Austria (1997). European Court of Human Rights. Available at: https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-58044%22]} (last seen: 03.11.2024)
- ECHR, Krone Verlag GmbH & Co. KG v. Austria (2012). European Court of Human Rights. Available at: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-111526%22]}. (last seen: 03.11.2024)
- EVHR, Krone Verlag GmbH & Co. KG v. Austria, 2012,From: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-111526%22]} (last seen: 03.11.2024)
- Facebook. (Darnela Frazier). *[They killed him right in front of cup foods over south on 38th and Chicago!! No type of sympathy]* [Video]. from https://www.facebook.com/share/v/1A7U5BgZJ4/ (last seen: 20.01.2025)
- Federal Bureau of Investigation. (n.d.). *Boston Marathon bombing*. FBI. https://www.fbi.gov/history/famous-cases/boston-marathon-bombing?utm_source=chatgpt.com (last seen:03.11.2024)
- Gardner-Webb University. (n.d.). *Circular reporting*. Gardner-Webb University Libraries. https://gardner-webb.libguides.com/fake-news/circular-reporting (last seen: 01.11.2024)
- Geneva Conventions and Additional Protocols. Available at: https://ihl-databases.icrc.org/en/ihl-treaties/geneva-conventions-1949additional-protocols-and-their-commentaries (Last accessed: 05.12.2024).
- Gersamia, M., Toradze M., Bandzeladze, M., (2023), Media Environment 2023: Challenges during Political Polarization and Crisis in Georgia, Media and Communication Educational and Research Center "Media Voice", available at: https://www.mediavoice.ge/_files/ugd/8d9aa3_643df6f4729945e58830ef280e48835c.pdf (last seen: 01.11.2024)
- Gersamia, M., Gigauri E., Gurgenidze G., (2025), Media Environment 2024: Fighting for Trust and Freedom in Georgia, Media and Communication Educational and Research Center "Media Voice", available at: https://www.mediavoice.ge/ (last seen: 01.30.2025)
- GYLA is requesting the annulment of the results from all polling stations (2,263 stations) where technology was used, due to violations of voting secrecy. (n.d.). Available at: https://gyla.ge/en/post/GYLA-gancxadeba-30octomberi (last seen: 02.11.2024)
- Human Rights Watch. (2024, February 8). *Ukraine: New findings on Russia's devastation of Mariupol*. Human Rights Watch. https://www.hrw.org/news/2024/02/08/ukraine-new-findings-russias-devastation-mariupol (last seen: 01.11.2024)
- International Committee of the Red Cross (ICRC). (n.d.). Geneva Convention III: Treatment of Prisoners of War (1949). from https://ihl-databases.icrc.org/en/ihl-treaties/gciii-1949 (last seen : 01.11.2024

- Johnson, K. A., & St. John, B., III. (2017). Citizen journalists' view on traditional notions of journalism, story sourcing, and relationship building. Journalism Studies, 18(3), 341–357.
- Key Texts on Journalists' Safety and Freedom of Expression, Declarations, Decisions, Resolutions, and Conventions (Non-exhaustive list available in the UNESCO database). Available at: https://www.unesco.org/en/safety-journalists/basic-texts (Last accessed: 02.11.2024).
- Lasica, J. D. (2003). Blogs and journalism need each other. Nieman Reports (Fall), 70–74.
- Lotan, G., Graeff, E., Ananny, M., Gaffney, D., Pearce, I., & boyd, d. (2011). The revolutions were tweeted: Information flows during the 2011 Tunisian and Egyptian revolutions. *International Journal of Communication*, 5, 1375–1405.(Last seen: 01.11.2024)
- Mapping Media Freedom - Alert Explorer. (2024, October 25). Mapping Media Freedom,available at: https://www.mapmf.org/explorer?f.from=2024-10-25&f.to=2024-10-27&f.country=Georgia (last seen: 02.11.2024)
- Metzger, J. (2011). Strange spaces: A rationale for bringing art and artists into the planning process. Planning Theory, 10(3), 213-238. https://doi.org/10.1177/1473095210389653 (last seen: 02.11.2024)
- Media Freedom Rapid Response (MFRR). (n.d.). *Home*. from https://www.mfrr.eu/ (last seen: 02.11.2024)
- Miller S., Citizen Journalism, Oxford research encyclopedia of communication, Online Publication Date: 2019 DOI: 10.1093/acrefore/9780190228613.013.786
- OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR). (2024, December 20). *Georgia parliamentary elections, 26 October 2024: ODIHR election observation mission final report*. Retrieved from https://www.osce.org/files/f/documents/1/6/584029.pdf (Accessed December 25, 2024).
- Papacharissi, Z. (2015). We have always been social. *Social Media + Society*, 1(1), 1–2. https://doi.org/10.1177/2056305115581185 (last seen: 04.11.2024)
- Pulitzer Prize. (n.d.). *Darnella Frazier*. Pulitzer Prize. https://www.pulitzer.org/winners/darnella-frazier (last seen: 03.11.2024)
- Rodrigues, C. (2014). A Latin American approach to citizen journalism. in Wall, M, *Citizen journalism Practices, Propaganda, pedagogy,* Routledge, 2022, (p. 3).
- Ross R., Cormier S., (2010), Handbook for Citizen journalists, National Association of Citizen journalists.
- Statement from President Joe Biden on Democratic Backsliding in the Country of Georgia, October 29, 2024, available at: https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2024/10/29/statement-from-president-joe-biden-on-democratic-backsliding-in-the-country-of-georgia/ (last seen: 01.11.2024)

- Statement on Georgia parliamentary election From Global Affairs Canada, October 28, 2024, Ottawa, Ontario, available at: https://www.canada.ca/en/global-affairs/news/2024/10/statement-on-georgia-parliamentary-election.html (last seen: 01.11.2024)

- United Nations. *Universal Declaration of Human Rights*. United Nations. https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights (last seen: 03.11.2024)

- U.S. State Department Press Briefing, October 28, 2024, Matthew Miller, Department Spokesperson, available at: https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-october-28-2024/ and https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-october-30-2024/ (last seen: 01.11.2024)

- Wall, M. (2015). Citizen journalism. Digital Journalism, 3(6), 797–813.

- YouTube. (2024, February 8). content warning: video of the Arrest of George Floyd in Minneapolis YouTube.Available at: https://youtu.be/CEZh0C-pmaw?si=3rKYX-AfAlnCRdEi (last seen: 02.11.2024)

- YouTube. (2024, February 8). 2021 Pulitzer Prize Announcement YouTube. Available at: https://www.youtube.com/watch?v=kQ_0PAVpQoU (last seen: 02.11.2024)

ქართულ ენაზე:

- გერსამია მ., (2023) როგორ იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ჟურნალისტებს შეიარაღებული კონფლიქტისას? მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი "მედიახმა", ხელმისაწვდომია: https://www.mediavoice.ge (ბოლო ნახვა: 03.12.2024)

- გერსამია მ., (2023) რა უნდა ვიცოდეთ ჟურნალისტური წყაროების დაცვის ევროპული სტანდარტების შესახებ? მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი "მედიახმა", ხელმისაწვდომია: https://www.mediavoice.ge (ბოლო ნახვა: 03.12.2024)

- გერსამია მ., (2022) სამი კადრი რუსეთ-უკრაინის ომიდან: სამოქალაქო ჟურნალისტიკის ტრიუმფი. ხელმისაწვდომია: https://forbes.ge/blogs/sami-kadri-ruseth-ukrainis-omidan-samoqalaqo-zhurnalistikis-triumphi/ (ბოლო ნახვა: 03.12.2024)

- დათაშვილის, თ. (2024, 3 ნოემბერი). ვიდეო ამომრჩეველთა აღრიცხვაზე, რეგისტრაციასა და შეკრებებზე [ვიდეო]. Facebook. Publika. https://www.facebook.com/t.datashvili/posts/pfbid05ioofz9opoeyJiGtgA95Cg8TjHfYbkZTRJpgw9rtfkGXVjZx3xwnwSuqiefxGLbdl (ბოლო ნახვა: 03.11.2024)

- კურატიშვილი, თ. (2024, 1 ნოემბერი). ვიდეო ამომრჩეველთა აღრიცხვასა და რეგისტრაციაზე საარჩევნო დღის განმავლობაში [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/tamarkuratishvili/videos/1066946997998778/ (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- კურატიშვილი, თ. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო ამომრჩეველთა აღრიცხვაზე, დაშინებებსა და შეკრებებზე [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/tamarkuratishvili/videos/1633765097521726 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- მთავარი არხი. [მთავარი არხი • Mtavari Arkhi]. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო მოქალაქე ხმის მიცემას სხვადასხვა უბანზე ორჯერ ცდილობდა . Facebook. https://www.facebook.com/TvMtavari/videos/1487304418625133/ (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- მთავარი არხი. [მთავარი არხი • Mtavari Arkhi]. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო-დიეჯესტი "კარუსელის ხმის მიცემის" შესაძლო დარღვევებზე, დაფიქსირებული დამკვირვებლის მიერ [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/watch/?v=1487304418625133 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- მთავარი არხი. [მთავარი არხი • Mtavari Arkhi]. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო ამომრჩეველთა აღრიცხვაზე, დაშინებასა და რეგისტრაციაზე სამეგრელოში [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/watch/?v=1079949833658783 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- მთავარი არხი. [მთავარი არხი • Mtavari Arkhi]. (2024, 27 ოქტომბერი). ვიდეო ამომრჩეველთა დაშინებასა და აღრიცხვაზე კახეთში [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/TvMtavari/videos/437704056021033/(ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- მოზაიკა ნიუსი. (2024, 26 ოქტომბერი). თეონა პანკველაშვილის, მოქალაქე ჟურნალისტისა და დამკვირვებლის მიერ გადაღებული ვიდეო ამომრჩეველთა აღრიცხვასა და შეკრებებზე საარჩევნო დღის განმავლობაში [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/reel/8502024403186506 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- მუჰამედალი, ჯ. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო ხმის გადამყალბებელ მცდელობაზე მარნეულის საარჩევნო უბანზე #69, გადაღებული დამკვირვებელ ირაკლი ჩუმბურიძის მიერ [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/jeixun.muhamedali/videos/1096671882124861 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- პუბლიკა. [პუბლიკა • Publika]. (2024, 29 ოქტომბერი). ვიდეო-დიეჯესტი სხვადასხვა სახის დარღვევების შესახებ [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/publika.ge/videos/537550129072412/ (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- პუბლიკა. [publika.ge]. (2024, 30 ოქტომბერი). ვიდეო-დიეჯესტი ხმის საიდუმლოების დარღვევებზე [ვიდეო]. Instagram. https://www.instagram.com/reel/DBuNuMRMYis/?igsh=MTJybXRmM3JmdzF2cg== (ბოლო ნახვა : 02.11.2024)

- პუბლიკა. [პუბლიკა • Publika]. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო ფიზიკური კონფრონტაციის შესახებ ზუგდიდში [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/publika.ge/videos/915315860481269 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- პუბლიკა. [პუბლიკა • Publika]. (2024, 29 ოქტომბერი). ვიდეო-დიეჯესტი ამომრჩეველთა აღრიცხვასა და რეგისტრაციაზე საარჩევნო უბნებზე [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/publika.ge/videos/866582248982599/ (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- პუბლიკა. [პუბლიკა • Publika]. (2024, 31 ოქტომბერი). ვიდეო-დიეჯესტი "კარუსელის ხმის მიცემის" შესაძლო დარღვევებზე [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/share/v/QpZo5WGwGFMCJcpV/ (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- რესა, მ. (2022). *როგორ დავამარცხოთ დიქტატორი* (ხ. დეკანოიძე, თარგმ.). არტანუჯი.
- რადიო თავისუფლება. (2024, 8 თებერვალი). 13 ივნისი- მაგალითი ერთად დგომისა https://www.radiotavisupleba.ge/a/ertad-dgomis-magaliti/28546061.html (ბოლო ნახვა: 03.11.2024)
- რადიო თავისუფლება. მომიყევი ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/p/10388.html?int_cid=banner%3Atell-me_gr-2490%3Arferl-georgia%3Afull-width (ბოლო ნახვა: 03.11.2024)
- საქართველოს მთავრობა. (2004). საქართველოს კანონი. matsne.gov.ge. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=8 (ბოლო ნახვა: 03.11.2024)
- საქართველოს მთავრობა. (2011). *საქართველოს კონსტიტუცია*. matsne.gov.ge. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0 (ბოლო ნახვა: 01.11.2024)
- საქართველოს მთავრობა. (2012). საქართველოს ორგანული კანონი. matsne.gov.ge. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=92 (ბოლო ნახვა: 03.11.2024)
- საქართველოს მთავრობა. (2005). საქართველოს პარლამენტი. matsne.gov.ge. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=76 (ბოლო ნახვა: 03.11.2024)
- საქართველოს მთავრობა. (2024). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. matsne.gov.ge. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0 (ბოლო ნახვა: 03.11.2024)
- საქართველოს მთავრობა. (2018). საქართველოს სახალხო დამცველის კანონი. matsne.gov.ge. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0 (ბოლო ნახვა: 03.11.2024)
- ტელეკომპანია ბორჯომი. (2024, 28 ოქტომბერი). ვიდეო ამომრჩეველთა დაშინებაზე და აღრიცხვაზე ბორჯომში, კორტანეთის საარჩევნო უბნის ახლოს მდებარე ბიბლიოთეკაში [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/tvborjomi/posts/pfbid0Ye89r8mMWMXbcxRhM3fqefELd1HxnSdWcR7N9JKpKVzigiw2nzYMMYjGJd7esrVWl (ბოლო ნახვა: 02.11.2024)
- TV ფორმულა. [Formula • ფორმულა]. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო ფიზიკური კონფრონტაციის შესახებ გლდანის საარჩევნო უბანზე #60 [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/TVFormula/videos/546362088287566/ (ბოლო ნახვა: 02.11.2024)
- ტელეკომპანია პირველი. [TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი]. (2024, 26 ოქტომბერი). ფოტო/ქარდი საარჩევნო პროცედურების დარღვევებზე ბათუმში, წყარო: ბათუმი ტაიმსი [ფოტო]. Facebook.
- https://www.facebook.com/tvpirveli.ge/posts/pfbid02VwJCft4pw7TsnQkkUpj8mnwFGLqsaU1D2iRfUz3fS16png3QsBzhkHYiMRkKKo1ml (ბოლო ნახვა: 03.11. 2024)
- ტელეკომპანია პირველი. [TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი]. (2024, 26 ოქტომბერი). "კარუსელის ხმის მიცემის" შესაძლო დარღვევები [სტატია]. TV Pirveli. https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/ და https://www.facebook.com/tvpirveli.ge/posts/pfbid09Ep4kZzp1uS9CeSDNpyPT2a4Ww8V3TLf6gGRfdxz6bvjrFs6ucqP2vrD3Q7nRzPxl (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- ტელეკომპანია პირველი. [TV Pirveli]. (2024, 2 ნოემბერი). ჟურნალისტური გამოძიება: შაბათის შოუ ნოდარ მელაძის მიერ [ვიდეო]. YouTube. https://www.youtube.com/live/QaddSzFqTm8?si=UcR9xi76m4dOe-XI (last seen: 03.11.2024)

- TV ფორმულა. [Formula • ფორმულა]. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო ამომრჩეველთა აღრიცხვაზე, დაშინებასა და რეგისტრაციაზე ლაგოდეხში (კახეთი) [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/watch/?v=2236288180072494 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- TV ფორმულა. [Formula • ფორმულა]. (2024, 26 ოქტომბერი). მაჩვენეთ რა სიები გაქვთ? | სპეცსიები ლაგოდეხში [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/TVFormula/videos/2236288180072494/ (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- TV ფორმულა. (2024, 31 ოქტომბერი). ვიდეო-დიეჯესტი ამომრჩეველთა ხმის საიდუმლოების დარღვევის შესახებ, დაფიქსირებული მოქალაქე ჟურნალისტების მიერ [ვიდეო]. ფორმულა. https://formulanews.ge/News/119447 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- ფანქველაშვილი, თ. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო ზეწოლასა და დაშინებაზე საარჩევნო დღის განმავლობაში [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/teona.pankvelashvili/videos/1758890477850446 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- ქარტია. ქარტიის პრინციპები. https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- ცხომელიძე, თ. [თეონა ცხომელიძე]. (2024, 26 ოქტომბერი). ვიდეო-დიეჯესტი "კარუსელის ხმის მიცემის" შესაძლო დარღვევებზე, დაფიქსირებული დამკვირვებლის მიერ [ვიდეო]. Facebook. https://www.facebook.com/teona.tskhomelidze.3/videos/1407838343505833 (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

- ცხომელიძე, თ. საარჩევნო განახლება Telegram არხზე, ხელმისაწვდომია: https://t.me/teoukraine (ბოლო ნახვა: 02.11.2024)

ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი - „მედიახმა“ დაარსდა 2015 წელს. ცენტრის მიზანია მედიის და მასკომუნიკაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა, საგანმანათლებლოკვლევითი საქმიანობის განხორციელება და ახალი ცოდნის შექმნის გზით, მედიაწიგნიერების ამაღლების და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობა, მედიაგარემოს შეფასება; ასევე ინტერდისციპლინური ცოდნის ტრანსფერი და კონსულტირება - მედიის, კომუნიკაციის, მედიაფსიქოლოგიის, მედიასამართლის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით; სამეცნიერო კვლევების წარმართვა, სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის წარმოჩენა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას ცენტრი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიაორგანიზაციებთან. 2023 წლიდან ცენტრი არის „მედიის თავისუფლების კოალიციის” საკონსულტაციო ქსელის ერთადერთი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან, 2024 წლიდან მედიის განვითარების გლობალური ფორუმისა (GFMD) და ანტი-SLAPP კოალიციის წევრი.

ვებგვერდი: https://www.mediavoice.ge/

ელ-ფოსტა: info@mediavoice.ge

Facebook: https://www.facebook.com/mediavoice.ge

Instagram: https://www.instagram.com/mediavoice_georgia

LinkedIn: https://www.linkedin.com/company/media-voice-georgia/

Twitter/X: @MediaVoice_Geo